ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის ოთხშაბათს და შაბათს | №15 (1645) | 7–10 მარტი, 1998 წ. ● ფასი 50 თეთრი



## დაიწყო „ძალოვანთა“ რბილი სავარძლების რყევა ანუ ვარდიკო ხომ არ მოგვეხსნა?

მეორე გვერდი

## რატომ თანხმდებიან რუსები ჯარის გაყვანაზე?

მესამე გვერდი

## ნემო ბურჭულაძემ სუკის აგენტობა ადრეც აღიარა





## აფხაზეთი
## როგორ ვიბრძოდით?

მეხუთე გვერდი

## ის, რაც გაზეთში არ დაბეჭდილა

მეათე გვერდი



## ვინ დაიცავს ქართლის საზღვრებს?

მერვე გვერდი

## სიყვარულის „ინტერესებში“ ახლო აღმოსავლეთში



## კრიმინალური ქრონიკა

მეექვსე გვერდი

## ვაჰ, ლოთნი, ლოთნი...

მეთერთმეტე გვერდი

## სპორტული სამყარო

მეშვიდე გვერდი

# ნემო ბურჭულაძემ სუკის აგენტობა ადრეც აღიარა

„საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა ორგანიზაცია მრგვალი მაგიდის" ხელმძღვანელებმა, 5 მარტს ქალბატონ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას სახლში პრესკონფერენცია გამართეს.

ძირითადი ყურადღება დაეთმო საქართველოში ამ ბოლო დროს განვითარებული მოვლენების პოლიტიკურ შეფასებას.



მათი აზრით, ფაქტობრივი ხელისუფლების უმთავრეს საზრუნავს ლეგიტიმაციის მცდელობა წარმოადგენს, რისი უშედეგო გამოვლინება იყო 1992 წლის 11 ოქტომბრისა და 1995 წლის 5 ნოემბრის არჩევნები.

დასავლეთის პოლიტიკური წრეების მიერ 1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალების-პუტჩის აღიარებამ, აიძულა მარიონეტი ხელისუფლება ძალაუფლების გახანგრძლივებისა და რუსეთის იმპერიის გავლენის სფეროში კავკასიის შენარჩუნების მიზნით გააქტიურებინა ლეგიტიმაციის მცდელობა. ამისთვის იგი იყენებს მასთან ალიანსში მყოფ კანონიერი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლისა და კანონიერი ეროვნული ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის მიტაცებისათვის მებრძოლ ფსევდო ეროვნულ ძალებს.

მათი განცხადებით დასახული გეგმის განსახორციელებლად ფაქტობრივმა ხელისუფლებამ რამდენიმე სპექტაკლი გაითამაშა: 1992 წლის 24 ივნისის ე. წ. ტელევიზიის აქცია; 1992-93 წლების ომი-გარიგება აფხაზეთში; 29 აგვისტოს ე. წ. ტერორისტული აქტი; არაფრის მომცემი პლებისციტი დევნილ მოსახლეობაში; რეფერენდუმის იდეა; 9-19 თებერვლის ე. წ. ტერაქტები.

რაც შეეხება 9-19 თებერვლის სპექტაკლებს, ისინი მიზნად ისახავენ უკანონო ხელისუფლებასთან ალიანსში მყოფი კანონიერი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლისა და ფსევდოეროვნული ძალების გაერთიანების დაფიქსირებას, ერთობლივი არჩევნების დანიშვნა-ჩატარების მიზნით. ამ მიმართულების რეალიზაციის საწყის ეტაპს კი კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლის, ნემო ბურჭულაძის შეხვედრა წარმოადგენს უკანონო ხელისუფლების უმაღლეს იერარქთან, რაც თავის მხრივ ადასტურებს მათ შესაძლო კავშირს 9-19 თებერვლის ორგანიზატორ-განმახორციელებლებთან.

მათი ნათქვამიდან გამომდინარე, სწორედ ნემო ბურჭულაძე მიეკუთვნება ფსევდოეროვნულ ფრთას. ამიტომ მისი დაჯდომა მოლაპარაკების მაგიდასთან შემთხვევითობა არ ყოფილა.

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც იგი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ყოფილა, ბატონ ზვიადს მისთვის სუკ-ის აგენტობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია უჩვენებია. ნემოს კი თავი დაუხრია და „დანაშაული" უღიარებია. გამსახურდიას იგი თანამდებობაზე დაუტოვებია და დიდსულოვნად მიუტევებია.

რაც შეეხება ქალბატონ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას, იგი როგორც გვითხრეს, ამჟამად მოსკოვში იმყოფება.

ხოლო თვითმფრინავის დანაღმვის გახმაურებული ცრუ ინფორმაციის შესახებ პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ ქალბატონი მანანას მოსკოვში გამგზავრებამდე, რამდენიმე წუთით ადრე შსს-თვის სატელეფონო ზარით შეუტყობინებიათ, თითქოსდა თვითმფრინავი, რომლითაც იგი უნდა გამგზავრებულიყო, დანაღმული იყო. მაგრამ გადამოწმების შემდეგ ინფორმაცია ყალბი აღმოჩნდა.

„მრგვალები" კი ამის ძირითად მოტივად ქალბატონი მანანას დაშინებასა და შანტაჟს მიიჩნევენ. რადგან ბევრს თურმე მისი მოგზაურობა აღიზიანებს.

ბოლოს კი საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის მესვეურებმა კვლავ განაცხადეს, რომ ქვეყნის სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფისათვის ერთადერთ გარანტს მშვიდობიანი პოლიტიკური მეთოდებით კანონიერი ხელისუფლების და კონსტიტუციური წყობის აღდგენა წარმოადგენს, რაც თავის მხრივ საფუძველს დაუდებს საყოველთაო ეროვნულ შერიგებას.



**კობა კაპანაძე**

# დაიწყო „ძალოვანთა" რბილი სავარძლების „რყევა" ანუ ვარდიკო ხომ არ მოგვეხსნა?

ის, ვინც საქართველოში ბოლო პერიოდის პროცესებს ასე თუ ისე თვალყურს ადევნებს, იმთავითვე მიხვდებოდა, რომ ადრე თუ გვიან „ძალოვანი" მინისტრების სავარძლების რყევა დაიწყებოდა. თუ ვისგან დაიწყება „ფოთოლცვენა", აი ესაა საკითხავი. იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ გასულ კვირას „ძალოვანთაგან" პირველი დარტყმა თავდაცვის მინისტრმა ვარდიკო ნადიბაიძემ იგემა პარლამენტართაგან, მაშინ იგი იქნება „პირველი მსხვერპლი" თებერვალში მომხდარი ტერაქტების სერიებისა.



ვინ ხართ თქვენ ამხანაგო ვარდენ?

ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვნად პასუხის გაცემა ალბათ თვად ვარდიკოს არ ძალუძს. ისე კი, მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, მას ბევრი არაფერი გაუკეთებია ჩვენი ქვეყნისათვის სასიკეთო. ის, რასაც მის ამ პოსტზე დანიშვნისას ითვალისწინებდნენ (რუსეთის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელებთან ახლო ურთიერთობები) მომგებიანი კი არა, საზიანო აღმოჩნდა იმ საქმისათვის, რასაც ქვეყნის თავდაცვა ჰქვია.

ის, რომ თავდაცვის მინისტრი გაცილებით ადრე იყო მოსახსნელი ან სულაც არ იყო დასანიშნი თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე, ამას ბევრი ხვდებოდა, მაგრამ ბედმა (თუ პრეზიდენტმა) ასე განსაჯა.

თავდაცვის მინისტრის გასათავისუფლებლად უამრავი მიზეზი დაგროვდა, საბაბი კი ამ საკითხის მწვავედ დასმისა 23 თებერვალი გახდა. (ვარდიკომ აღნიშნა საბჭოთა არმიის დღე).

ამ რამდენიმე ხნის წინ საუბარი გვქონდა ლეიბორისტთა ლიდერთან ბ-ნ შალვა ნათელაშვილთან. რომელმაც მისთვის ჩვეული გაწონასწორებული შეფასება მისცა ბ-ნი მინისტრის მოღვაწეობას. იგი თვლის, რომ თავდაცვის მინისტრის ღიმილის (თუ სიცილის) საგნად ქცევა, ბევრს არაფერს წაადგება ჩვენს თავდაცვისუნარიანობასა და ჯარისკაცების საბრძოლო მომზადებას. თუმცა მან არ უარყო ის ფაქტი, რომ ქართულ ჯარში არის კორუფცია, „დედოვშინა", ჯარისკაცების მომზადების დაბალი დონე. ყველა დამეთანხმება იმაში, რომ ბატონი ვარდიკო ზოგჯერ ფრიად კურიოზულ სიტუაციებში ვარდება ხოლმე.

მახსენდება ერთი ფაქტი.

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)

# „საქართველოში ფსევდოკულტურის მოძალებაა, რაც ამ ხელისუფლების ბრალია"

## ინტერვიუ ქართველ ნაციონალისტთა ლიდერთან გია მამალაძესთან



*გია მამალაძე ქართველ ნაციონალისტთა ერთობის ლიდერია. მკითხველისთვის, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება მისი მოსაზრებები საქართველოში ბოლო ხანს განვითარებულ პროცესებზე და საერთოდ, საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საკითხებზე. ქვემოთ გთავაზობთ ინტერვიუს მასთან.*

**— ბატონო გია! ამ რამდენიმე ხნის წინ ლამის მთელი მსოფლიო ალაპარაკდა ჯიხაშკარელ ტერორისტებზე, თქვენი აზრით, რა იყო ეს, მართლაც ტერორი თუ სხვა რამ?**

— ტერორისტებს არ უწოდებენ მათ, მიუხედავად იმისა, რომ ეს აქცია ფორმით ტერორისტული იყო. არც შინაარსით, არც ქცევითა და არც მოწოდებით არ ყოფილა ტერორისტული. პირიქით, ერთგვარად, ქართული სტუმარ-მასპინძლობის მაჩვენებელიც კი გახლდათ. ხოლო რაც შეეხება აქციას, მისი მიზეზები ხელისუფლებამ თავის ქმედებებში უნდა ეძიოს, რადგან ტერორიზმით თავად ამ ხელისუფლებამ დაიწყო.

**— ბატონო გია, რას გვეტყვით ეროვნული მოძრაობის მანანა არჩვაძისეულ ფრთაზე, რომელმაც ნემო ბურჭულაძე, როგორც სუკის აგენტი, ისე მოიხსენია?**

— ქალბატონ მანანას მეცა და ჩემი მეგობრებიც ძალიან კარგად ვიცნობთ და პატივს ვცემთ, როგორც ზვიად გამსახურდიას მეუღლეს, დიდებულ ქართველ ქალს, როგორც პატრიოტს, მაგრამ ქალბატონ მანანას გზა მიგვაჩნია, რომ არარეალურია და მის მიერ წარმოებული პოლიტიკური კურსი სამწუხაროდ გამარჯვებამდე არ მიიყვანს ქართველ ხალხს; დღეს ისეთი ვითარებაა, რომ ეროვნულ მოძრაობას შეუძლია მხოლოდ არჩევნების მეშვეობით მიაღწიოს გამარჯვებას და მოვიდეს ხელისუფლებაში. ახლა რაც შეეხება ქალბატონ მანანას მიერ ნემო ბურჭულაძის აგენტობის მტკიცების ჩვენეულ შეფასებას. ბატონმა ნემომ ძალიან კარგი საქმე გააკეთა — თუნდაც ის, რომ მან განაცხადა: ჩემი მიზანი იმ მძევლების გადარჩენა იყოო. ბატონი ნემოს ჩამოსვლით დაიძრა ყინული. მე არა მგონია, ბატონი ნემო იმ ჯიხაშკარისეული ამბების საქმის კურსში ყოფილიყო. აგენტი? მე დარწმუნებული ვარ, რომ ბატონი ნემო სუკის აგენტი არ არის...

**— რატომ ხართ დარწმუნებული?**

— მისი ჩამოსვლა უფრო მორალური ხასიათს ატარებდა. მას არავითარი გარანტია არ ჰქონდა, რომ არ დაიჭერდნენ. ეს ერთი და მეორეც: ნემოს ქალიშვილსა და მის ოჯახს, მე ვიცნობ. ისინი უაღრესად დიდი პატრიოტები არიან, — შეუძლებელია სუკის აგენტმა პატრიოტი შვილები აღზარდოს.

**— კიკაჩეიშვილისეულ ეროვნული მოძრაობის ფრთაზე რა გვეტყვით?**

— ბატონი თენგიზ კიკაჩეიშვილი უნივერსიტეტში მასწავლიდა და იგი ძალიან მიყვარს. მიხარია, თენგიზ კიკაჩეიშვილიც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეროვნული ძალების მოსვლა ხელისუფლებაში შეიძლება მოხდეს არჩევნების გზით.

**— ბატონო გია, ეროვნული პარტიები, კარგად იცით, როგორ არიან დაქსაქსულნი; რამ უნდა გააერთიანოს ეს ერთი მიზნითა და მისწრაფებით გაჟღენთილი ხალხი?**

— გონიერულობამ! გამოჩნდება ერთი მტკიცე ძალა, თავიდან, რა თქმა უნდა, მცირერიცხოვანი, მაგრამ ის აიყოლიებს მთელ ხალხს, ქართველ ერს, ვინაიდან, საქართველოში, როგორც ვატყობ, გაერთიანება ძალიან ძნელია.

**— რატომაა ძნელი გაერთიანება?**

— ამას მრავალი მიზეზი აქვს: ზოგიერთი სპეცსამსახურების გავლენის ქვეშაა, ზოგიერთსაც ამბიციები უშლის ხელს, არის შეუთანხმებლობა იდეოლოგიურად — ზოგი კონსერვატორია, ზოგი ნაციონალისტი, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი ეს მხოლოდ აწყობილ ქვეყანაში შეიძლება იქცეს განხეთქილების საგნად. საქართველო იქნება მონარქიული, ლიბერალურ-ქრისტიანული თუ სხვა, ეს შემდგომ უნდა გაირკვეს.

**— როგორ უყურებთ ირინე სარიშვილის (ირინე და არა ირინა, როგორც ის თავისთავს უწოდებს) განცხა-**

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)

# ახალი ამბები

## ჯარში უარესია ვიდრე ციხეში

*05/03/98(გეა) /ინგა გრიგოლია/* პარლამენტის პენიტენციალურ საქმეთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარის, ელენე თევდორაძის განცხადებით, ის სურათი, რომელიც მას თავის თვალით აქვს ნანახი ქართული ჯარის ნაწილებში, ზოგჯერ გაცილებით უარესია, ვიდრე ციხეში პატიმრების მდგომარეობა.

ელენე თევდორაძე მიიჩნევს, რომ ქართული არმიის ნაწილები კორუფციის ბუდეს წარმოადგენს და საჭიროა ჯარის ზღვრული კვოტა შემცირდეს.

## თავდაცვის მინისტრი პარლამენტს ერიდება

*05/03/98(გეა) /ინგა გრიგოლია/* პარლამენტის კორუფციასთან ბრძოლის დროებითი კომისიის თავმჯდომარის, გიორგი ბარამიძის განცხადებით, პარლამენტისთვის აბსოლუტურად გაუგებარია, რას ფიქრობენ ან რითი აზროვნებენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში. დღეს პარლამენტი ქართული ჯარის რიცხვობრივ განსაზღვრის საკითხს იხილავდა, თუმცა, თავდაცვის მინისტრზე რომ არაფერი ითქვას, ამ სტრუქტურის არც ერთი წარმომადგენელი სხდომას არ დასწრებია.

გიორგი ბარამიძე მიიჩნევს, რომ ბიუჯეტით გამოყოფილი თანხა საკმარისია თავდაცვისათვის, მაგრამ ქართული ჯარის ნაწილებში არსებული კორუფცია იმის მიზეზი ხდება, თითქოს აღნიშნული თანხა მხოლოდ ზოგიერთი ნაწილისთვის იყოს საკმარისი. „თუ ახალციხის მესაზღვრეთა ბრიგადას ყოფნის კუთვნილი თანხა, რატომ არ ყოფნის იგივე თანხა იმავე რიცხობრივ ბრიგადას სხვა ადგილას? - კითხულობს გიორგი ბარამიძე და აღნიშნავს, რომ საქმე არა ჯარის ზღვრულ რაოდენობაში, არამედ კორუფციაშია.

„ჩვენ რა, სხვა ქვეყნის პარლამენტი ვართ? ელემენტარულად კეთილი ინებოს და როცა ასეთი საკითხები გადის, მობრძანდეს თავდაცვის მინისტრი პარლამენტში და პასუხი გასცეს ჩვენს შეკითხვებს - აცხადებს გიორგი ბარამიძე.

## „საქენერგო" ქურდებისგან თავის დაცვას ითხოვს

*05/03/98(გეა)* დღეს რომ ენერგოსისტემა მძიმე მდგომარეობაშია, ამის შეხსენება ალბათ ზედმეტია. როდესაც პრეტენზიას ვაცხადებთ ელექტროენერგიის მიღებაზე, ისიც კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ენერგოსისტემას ყოველი ჩვენთაგანის დახმარება ესაჭიროება. არსებული პრობლემებიდან ერთ-ერთ მთავარ პრობლემას ელექტროგადამცემი ხაზების ძარცვა წარმოადგენს.

110 კილოვატიანი ელექტროგადამცემი ხაზი „გვიშტიბი წყალტუბოს და ხონის რაიონებს ამარაგებს ელექტროენერგიით.

სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ვერ მოხერხდა მძარცველებისაგან 2 რაიონისათვის ასეთი მნიშვნელოვანი ელექტროგადამცემი ხაზის დაცვა. 110 კილოვატიანი ხაზი თითქმის მთლიანად გაძარცულია. ქურდები გამტარის მოპარვას არ დასჯერდნენ და ამჟამად ლითონის ანძებიდან კუთხოვან რკინებსაც იპარავენ.

წყალტუბოს რაიონის ტერიტორიაზე სულ მოპარულია 115 ათასი ლარის ღირებულების მასალა, ხაზის აღდგენის დაახლოებითი ღირებულება კი 220 ათას ლარს შეადგენს.

ხონის რაიონის ტერიტორიაზე სულ მოპარულია 67,1 ათასი ლარის მასალა, ხაზის აღდგენის დაახლოებითი ღირებულება კი 110 ათასი ლარი იქნება.

# რატომ თანხმდებიან რუსები ჯარების გაყვანაზე?



ამ რამდენიმე დღის წინ რუსეთის თავდაცვის მინისტრმა, გენერალმა სერგეევმა განაცხადა, რომ რუსეთი მზად არის საქართველოდან თავისი სამხედრო ბაზები გაიტანოს (მაშასადამე, თავისი შეიარაღებული ძალები გაიყვანოს) იმ შემთხვევაში, თუ ქართულ მხარეს ეს უნდა. ამ განცხადების პირველი კომენტარი, ცხადია, ის გახლავთ, რომ სერგეევის კითხვის პასუხი დიდი ხანია ცნობილია. დიახ, საქართველოს უნდა რუსეთის ჯარების გაყვანა და ამის იურიდიული მაჩვენებელია საქართველოს პარლამენტის 1993 წლის 1 ივნისის დადგენილება, რომლის თანახმად რუსეთის შეიარაღებული ძალების გასვლა საქართველოდან უნდა დასრულდეს 1995 წლის 31 დეკემბრისათვის. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან, კერძოდ, საგარეო საქმეთა მინისტრისგან რუსეთს აქვს მიღებული ოფიციალური შეტყობინება პარლამენტის ამ დადგენილების შესახებ და ამგვარად უფლება არა აქვს არ იცოდეს მისი არსებობა. (ეს დადგენილება პარლამენტმა მიიღო თავდაცვისა და უშიშროების კომისიის წინადადებით, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრმა ალ. ჩიკვაიძემ მხოლოდ მას შემდეგ მიმართა რუსეთს პარლამენტის ამ დადგენილების შესაბამისად, რაც მათ ეს თავდაცვის კომისიის მაშინდელმა თავმჯდომარემ ნ. ნათაძემ მოსთხოვა. მაგრამ ამჯერად ჩვენი საუბრის თემა ეს არ გახლავთ. ჩვენი თემაა კითხვა, რომელიც დღეს ბუნებრივად დგას საზოგადოების წინაშე, ვინაიდან არავინ ფიქრობს, რომ რუსეთის თავდაცვის მინისტრმა ეს თანხმობა რაღაც ფარული ზრახვის გარეშე გამოთქვა. ეს კითხვაა: რატომ გამოთქვა სერგეევმა საქართველოდან ჯარის გაყვანის მზაობა და რატომ გამოთქვა იგი მაინცდამაინც **ახლა**?

პასუხად რამდენიმე ვარაუდის გამოთქმა შეიძლება.

**პირველი ახსნა**. რუსებს „ურჩიეს", ანუ დემოკრატიულმა დასავლეთმა რუსეთს რეკომენდაცია მისცა საქართველოდან ჯარი გაიყვანოს. ამ ახსნის სასარგებლოდ მეტყველებს შემდეგი გარემოებები, დღეს რუსეთის პოლიტიკა ირანის მიმართ გააქტიურებულია. რუსეთი ირანს უშენებს ატომურ აეს-ს, მაშასადამე — **ატომურ იარაღს აძლევს**. ამ ალიანსით, რომელიც ასე თუ ისე **სომხეთსაც** მოიცავს, რუსეთი, თავისი ჩანაფიქრით, საპირწონეს უქმნის იმ დასავლურ გეგმას, რომელიც დასავლეთ-აღმოსავლეთის ანუ შუა ევროპა — შუა აზიის დიდი დერეფნის გაყვანას გულისხმობს. საქართველოს „როლი" რუსეთის ამ ჩანაფიქრში დიდია, თუმცა არა საპატიო და არა უსაფრთხო. ეს არის როლი **ერთადერთი სახმელეთო დერეფნისა** რუსეთსა და სომხეთ-ირანს შორის — დერეფნისა, რომელსაც არავინ არაფერს ეკითხება და რომლის უსაფრთხოებასაც არავინ დარდობს. ელცინის ამასწინდელი განცხადება რუსეთ-ბელორუსიასთან სომხეთის შესაძლო მიერთების შესახებ იმას მოწმობს, რომ მას საქართველოს მომავალი სწორედ ასე ესახება. ცნობილია, რომ რუსეთის სამხედრო ტვირთები სომხეთისკენ დღეს, საქართველოს ხელისუფლების სრული დოყლაპიობის წყალობით, როკის გვირაბით მოძრაობს. ხსენებული სამხედრო საპირწონე (რუსეთი-ირანი) დასავლეთისთვის **სახიფათოა** (უფრო ზუსტად **არასასურველია**), მით უმეტეს, თუ რუსეთის ძალა ამიერკავკასიას კეტავს. ამით აიხსნება რუსეთზე დასავლეთის მორიგი მცირედი ზეწოლის ფაქტი. ხოლო ამ „რჩევის" თარიღი აიხსნება იმით, რომ სომხეთში ხელისუფლების ცვლილება მოხდა და ელცინის განცხადებამ სომხეთის **პოლიტიკის** შესაძლო ცვლილებაზეც მიგვანიშნა.

**მეორე ახსნა**: რუსები დარწმუნებულნი არიან, რომ მათი მარიონეტი — საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება — ვერ გაუბედავს მათ ჯარის გაყვანის თხოვნას. ამით მოხდება ამ ხელისუფლების კიდევ შემდგომი დისკრედიტაცია ხალხის თვალში და, შესაბამისად, გაღიდდება რუსეთზე მისი ფსიქოლოგიური დამოკიდებულობის ხარისხი.

**მესამე ახსნა**: თუ გავითვალისწინებთ, რომ სომხეთის არმია დღეს, სულ ცოტა **ორჯერ** ძლიერია საქართველოსა და აზერბაიჯანისაზე ერთად აღებული, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რუსეთი, გადის რა საქართველოდან, ამით თავისუფალ ასპარეზს ქმნის ამიერკავკასიაში დიდი ომის პროვოცირებისათვის. რაც ძალიან გრძელვადიანი არასტაბილობის — და, მაშასადამე, დასავლეთ-აღმოსავლური დერეფნის ფუნქციონირების ჩაშლის — გარანტიაა. ამ ახსნას ეწინააღმდეგება ორი გარემოება: პირველი, სომხეთის პოლიტიკას რუსეთი ცალსახად ვერ წარმართავს და რუსეთმა ეს იცის. მეორე, **თურქეთს** ამიერკავკასიის მიმდებარე რეგიონში ძალიან დიდი ძალა ჰყავს და საეჭვოა ამიერკავკასიაში დიდი ომის დაწყების შემთხვევაში ამ ფაქტორის გამორიცხვა. რუსეთმა, ცხადია, ესეც იცის.

**მეოთხე ახსნა**: რუსეთს უნდა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ითხოვოს ჯარების გასვლა, მაგრამ მათი გასვლის შემდეგ საქართველოში შეიძლება მოხდეს **დიდი დესტაბილიზაცია** იმ **რამდენიმე ათიათასკაციანი** აგენტურის გამოყენებით, რომელიც რუსეთს დღეს საქართველოში ჰყავს. ეს ახსნა, რომელიც მეორეზე და მესამეზე შეუდარებლად უფრო სარწმუნოა და ამ მხრივ მხოლოდ პირველს ეტოლება, შემდეგ კომენტარს საჭიროებს: თუ საქართველოს ხელისუფლებას **უნდა** ქაოსის დაძლევა, **მას საამისოდ ყველა ობიექტური პირობა აქვს** მიუხედავად რუსული აგენტურის ყველა მცდელობისა. წარმატების იმედი რუსეთის ამგვარ გეგმას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეს, თუ მას ამ დივერსიაში საქართველოს ხელისუფლების თანადგომის პერსპექტივა აქვს, ანუ იმის პერსპექტივა აქვს, რომ საქართველოს გზებზე კვლავ ინავარდებენ **ხელისუფლებისაგან ხელდასხმული** შეიარაღებული ფორმირებები, რომლებიც სახელმწიფო სექტორებში არ შედიან, კვლავ იქნება განუკითხაობა, შეიარაღებული ძალების სისტემად ქცეული გაქცევა, დაუსჯელი მექრთამეობა მმართველ სტრუქტურებში და ასე შემდეგ, რასაც გამოცდილებით კარგად ვიცნობთ. თუ ამის იმედი არ ექნებათ, რუსები ამ დივერსიას არ **წამოიწყებენ**.

# ვიყოთ ობიექტურები!

1997 წლის 15-17 დეკემბრის გაზეთ „საქართველოში" გამოქვეყნებული იყო სასაზღვრო ჯარების პოლკოვნიკის შ. ხუნდაძის სტატია „მთავარ მესაზღვრეს საზღვარი სულაც ფეხებზე ჰკიდია — აცხადებს სასაზღვრო ჯარების პოლკოვნიკი".

ნება მიბოძეთ მოგახსენოთ: მე კარგად ვიცნობ პოლკოვნიკ შ. ხუნდაძეს, ვაფასებ მას როგორც სასაზღვრო სამსახურის ქვედა ეშელონების მცოდნეს, ფუნქციონალური მოვალეობის დაუინებით და საქმის ღრმად შემსრულებელს.

კარგად ვიცნობ მე ე. წ. „მთავარ მესაზღვრესაც". ორივესთან ერთობლივად მიხდებოდა სასაზღვრო სამსახურის მოთხოვნილებების შესრულება. ჩვენ ვართ სამხედროები-მესაზღვრეები და ვფიქრობ, ემოციებს, გულის და არა ობიექტურ გრძნობებს გვერდი უნდა ავუხვიოთ.

აი რატომ მე, როგორც პროფესიონალი მესაზღვრე, „რომელსაც სასაზღვრო ჯარებს შევალიე ახალგაზრდობა და ჩემი ჯანმრთელობა", არ ვეთანხმები პოლკოვნიკ შ. ხუნდაძეს: „მთავარ მესაზღვრეს საზღვარი სულაც ფეხებზე არ ჰკიდია" — (კურსივი ჩემია).

მით უმეტეს, რამე ლიბერალური ან შეთანხმებითი მიდგომა რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო მხარესთან გენერალ ვ. ჩხეიძეს მისი მოღვაწეობის პერიოდში არ ჰქონია. მე ამას ვამტკიცებ როგორც მისი ყოფილი თანაშემწე სახელშეკრულებო-სამართლებრივ დარგში. უნდა გამოგიტყდეთ, ბევრჯერ „მომხვედრია" სიტყვებითაც და საყვედურების გამოცხადებით, როდესაც ჩემი თვალსაზრისით ამა თუ იმ საკითხში, ვიჭერდი რუსეთის მესაზღვრეების მხარეს. შემიძლია მე თუ არა ამის შემდეგ დავუჯერო იმ აზრს" „... რომ მან ეს ტერიტორია შეგნებულად დაუთმო რუსებს?!" (ლაპარაკია საზღვარზე ლარსის ნეიტრალურ ზონაზე). არა შაქრო (მე მივმართავ პოლკოვნიკ შ. ხუნდაძეს, რადგან მას ვიცნობ დიდი დროის მანძილზე და ერთად გვიმსახურია, მგონი არ ეწყინება), ეს ასე არ არის. შენ არ ყოფილხარ ზოგიერთ მოლაპარაკებების პროცესზე გენერალ ა. ნიკოლაევსა და გენერალ ვ. ჩხეიძეს შორის. შეუნდობელი ნაპერწკლებით, ცეცხლით და ბოლით ხასიათდება მათი დიალოგი, როდესაც დაცულია ერთის მხრივ დიდი რუსეთის, მეორეს მხრივ — პატარა საქართველოს ინტერესები სასაზღვრო პოლიტიკის საკითხებში. მე შეგნებულად ვიხმარე სიტყვები „სასაზღვრო პოლიტიკის საკითხებში". დღეს არ შეიძლება ნებისმიერი საკითხი, რომელიც ეხება სახელმწიფო საზღვარს, განხილული იყოს სახელმწიფოების პოლიტიკის მიმართულებების გაუთვალისწინებლად. მითუმეტეს ეს ეხება ისეთი უწყების ხელმძღვანელს, როგორიც არის სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი.

მე არ ვეხები იმ ზოგად ადამიანურ შეცდომებს და დანაკლისებს, რომლებითაც შეიძლება ხასიათდებოდეს გენერალი ვ. ჩხეიძე. არის ასეთი შეცდომები. ზოგ შემთხვევაში ისინი ახდენენ გავლენას დეპარტამენტის მოღვაწეობის ამა თუ იმ მხარეზე. მაგრამ ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ ერთ ადამიანს არ ძალუძს ყოველმხრივ ძნელი და პასუხისმგებელი საკითხების გადაწყვეტა, თუ გვერდით არა გყავს გამოცდილი, კომპეტენტური, სანდო, საქმის მცოდნე დასაყრდენი კოლექტივი. ამ პრობლემას მე არ ვეხები.

მე მაღელვებს „შ. ხუნდაძის სტატიაში მოყვანილი სტრიქონები: „... დღეს კი მაგონდება, რომ მან (**ვ. ჩხეიძემ**) ეს ტერიტორია შეგნებულად (კურსივი ჩემი) დაუთმო რუსებს!" მე მიმაჩნია, რომ სანამ იქნება რამე დოკუმენტი შედგენილი, მით უმეტეს გამოქვეყნებული საინფორმაციო საშუალებებში, საჭიროა საკითხის, პრობლემის კომპეტენტური შესწავლა და დასკვნის გამოტანა. აქედან გამომდინარე, მე გიპასუხებ, შაქრო, შენს „მაინც გაუგებარ და საინტერესო კითხვებზე".

1. საქართველო-რუსეთის საზღვარზე, ლარსის რეგიონში **საზღვრის** გადმოწევა არ მომხდარა. რუსეთის მხარე წინ წამოიწია **დადგენილ ნეიტრალურ ზონაზე**, რისი ნებაც არა ჰქონდათ. საზღვარი და ნეიტრალური ზონა ერთი და იგივე არ არის.

2. ჩვენი მესაზღვრეების რეაგირება მოხდა მაშინვე პროტესტის მიმართვით უფრო მაღალ, რუსეთის ფედერაციის სამთავრობო ინსტანციებში.

3. რაც შეეხება „სროლას და დახოცვას", ამაზე რა გიპასუხოთ? თანამედროვე პირობებში? ჩვენ კონფრონტაციაღა გვაკლია? ვინ არ იცის — სროლა და დახოცვა — ადვილია. საქმე იმაშია, რომ უსროლველად მოგვარდეს ყოველგვარი კონფლიქტი თუ ინციდენტი. ამაზე იყო მიმართული სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის დემარში და სხვა მოქმედებები, რომლებმაც სხვა ზომებთან ერთად უსროლველად მიაღწია მიზანს.

მინდა გაცნობოთ, რომ არავის მითითებით ან თხოვნით მე არ ვაქვეყნებ ჩემს აზრს. ობიექტური მიდგომა საკითხთან მაიძულებს ვთქვა სიმართლე. ხოლო სიმართლე იმაშია, რომ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დადგენის საკითხი რთულზე რთული პრობლემაა. სასაზღვრო ქვედანაყოფები, საჯარისო ნაწილები, შენაერთები არ არიან კომპაქტურად განლაგებული. მიხედვა უნდა მთელ, თითქმის 2000 კილომეტრიან, სახელმწიფო საზღვრის პერიმეტრს, საჭიროა სადაო მონაკვეთების გათვალისწინება, უნდა გავითვალისწინოთ მეზობელი სახელმწიფოების თვალსაზრისი, მათი მოთხოვნილებები. აქ ძალადობა, „სროლა და დახოცვა" სასტიკად გამორიცხულია. აქ შეხვედრები, თათბირები, კომპრომისებიც და, თუ გნებავთ, კალმისტრებიც იარაღია.

რუსეთის პრესა გულმოდგინედ ლანძღავს გენერალ ვ. ჩხეიძეს. არ ჩამორჩება მას ქართული პრესაც. თუმცა იერიშების მიტანა სწარმოებს სხვადასხვა მიმართულებით. მაგალითისათვის მათი მოყვანა დაიკავებდა ბევრ ადგილს. მაგრამ ანალიზი გვიჩვენებს, რომ უმეტეს პუბლიკაციაში არის სუბიექტური მიდგომები ამა თუ იმ საკითხებთან.

დღეს ბევრია გაკეთებული სახელმწიფო საზღვრის დადგენის საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ უფრო მეტია გასაკეთებელი, მრავალი სიძნელეებია გადასალახავი მატერიალურ, მორალურ, კადრების საკითხებში. ვინ აწევს ამ მძიმე ტვირთს და გაუდგება ალმავალ გზას, თუ არა საკითხებში კომპეტენტური, „ცეცხლში" და ინტრიგებში „გალახულ" და შელახულ ვითარებებში განვლილი ადამიანი? მაშ, ისმება კითხვა: რა საჭიროა „მონაცემების კიდევ დაზუსტება და მკითხველისადმი მოხსენება", როგორც გვპირდება ბატონი ნ. ნათაძე სტატიის მინაწერში? არ გვეყოფა ამდენი ნგრევა, ლანძღვა, გინება დაწყებული სახალხო ფრონტიდან დღევანდელ დღემდე?

არ სჯობია დავეხმაროთ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს საქმით, კეთილი განწყობილებით? ნუთუ ამაში უნდა გვეხმარებოდნენ უკრაინელები, გერმანელები, თურქები, აზერბაიჯანელები და სხვები ...

ქართველები?

**პოლკოვნიკი გ. კოხრეიძე**

# ახალი ამბები

### ვისაც აკრიტიკებდნენ მისივე არგუმენტებით ებრძოლებიან - ანუ მთავარია მანევრები

06/03/98(გეა) /ინგა გრიგოლია/ დეპუტატ თენგიზ ჯგუშიას განცხადებით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ახალი მისია ადასტურებს, რომ ეროვნული ბანკის მიერ აბსოლუტურად გამართლებული იყო 1996 წლის ივნისში ხორბალზე გარანტიების გაცემა.

გეა-ს კორესპონდენტის კითხვაზე, რატომ ამართლებენ „სოციალისტები ეროვნული ბანკის პრეზიდენტს საერთაშორისო სავალუტო ფონდის არგუმენტებით, როცა თავად ეწინააღმდეგებიან საერთაშორისო სავალუტო ფონდს, ფრაქცია „მაჟორიტარი-სოციალისტის თავმჯდომარის მოადგილემ განაცხადა, რომ როცა ვახტანგ რჩეულიშვილი აცხადებს, რომ სავალუტო ფონდი არ უნდა ახვევდეს ქვეყანას თავის რეკომენდაციებს, ეს არ ნიშნავს წინააღმდეგობას.

ჯგუშიას თქმით, თავის დროზე, ანუ ნოდარ ჯავახიშვილის ხელმძღვანელად მოსვლამდე, როცა ქვეყანაში დაინერგა ფულად-საკრედიტო ბაზარი, საჭირო იყო მკაცრი მონეტარული პოლიტიკის განხორციელება, რაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეშვეობით მოხდა კიდეც. ახლა კი „სოციალისტები მიიჩნევენ, რომ მკაცრი მონეტარიზმისთვის საჭირო პერიოდი დამთავრდა და საერთაშორისო სავალუტო ფონდმა თავისი საქმიანობა საქართველოში სოციალურ ეფექტებზე გათვლილი ფულად-საკრედიტო პოლიტიკით უნდა გააგრძელოს, რათა ქვეყანამ ფულადი მასის კონტროლირება შეძლოს.

### საქართველოს ბანკის პრეზიდენტია, აშშ-ის პრეზიდენტი ხომ არა?

06/03/98(გეა) /ინგა გრიგოლია/ რამდენად მიზანშეწონილია საქართველოს № 1 ბანკირად დაინიშნოს პიროვნება, რომელზეც რამდენიმე თვის წინ საკმაოდ მძიმე ბრალდება იყო სიმთვრალეში დაკავებისა და მის მიერ იმავე ღამეს მანქანაში მჯდომი მანდილოსნის ცემის თაობაზე? ამ კითხვაზე ფრაქცია „მაჟორიტარი-სოციალისტის თავმჯდომარის მოადგილე, თენგიზ ჯგუშია აცხადებს, რომ მისი გასარჩევი არაა, რამდენად უყვარს ჯავახიშვილს ქალები და ქეიფი. მთავარია ის, რომ სწორედ მისი პიროვნების ჯიუტმა ხასიათმა აბსოლუტურად გაამართლა, მისი, როგორც ბანკირის ქცევა.

### ყველა პროცესუალური ნორმა დაცული იყო

06/03/98(გეა) /თამარ ხონელიძე/ სახალხო დამცველმა დავით სალარიძემ განაცხადა, რომ 9 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტზე მომხდარ თავდასხმაში ეჭვმიტანილთა დაკავებისას ყველა პროცესუალური ნორმა დაცული იყო. ჯერჯერობით დაკავებულთაგან არანაირი საჩივარი მათზე ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზეწოლის თაობაზე არ შემოსულა. ამასთან, სალარიძემ დასძინა, რომ დაკავებულნი ჯერაც არ არიან გადაყვანილნი „იმ ავადსახსენებელ მე-5 იზოლატორში.

# დაიწყო „ძალოვანთა“ რბილი სავარძლების „რყევა“ ანუ ვარდიკო ხომ არ მოგვეხსნა?

(მე-2 გვერდიდან)

ამ რამდენიმე ხნის წინ, თავდაცვის სამინისტროში მომიხდა დარეკვა, მსურდა ბატონ ვარდიკოს შევხვედროდი. ყურმილის მეორე ბოლოდან ასეთი რამ მიპასუხეს (შეგნებულად არ ვასახელებ თანამოსაუბრის გვარს): „არ მითხრა ახლა, ვარდიკოსთან მინდა შეხვედრაო, რაც გინდა მთხოვე მაგის გარდა.“ როდესაც მიზეზი ვკითხე, მიპასუხა: „ზოგჯერ ისეთ რალაცეებს ამბობს ხოლმე, რომ მერე, როცა კითხულობს, საკუთარ თავზე ბრაზდება და მე მაგის თავი არ მაქვს“. მე მესმის რა უხერხულ მდგომარეობაში არიან ბ-ნი ვარდიკოს უწყებაში მომუშავე ადამიანები მაშინ, როდესაც ხედავენ თუ როგორ გამოიყურება მათი ხელმძღვანელი.

### „ვარდიკო ხომ არ მოგვეხსნა?“

მისივე დასმული კითხვით მივმართე ბ-ნ მამუკა გიორგაძეს, რომელმაც ასეთი პასუხი გამცა: „კარგს ვიზამდით, რადგან იგი რუსული მენტალიტეტის მატარებელი ადამიანია, მისთვის ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდია, ვერ წარმოუდგენია რუსეთის გარეშე ცხოვრება და ეს კი საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოა.

ასეთივე, მოსაზრებას იზიარებს პარლამენტართა უმრავლესობა. ასეთივე აზრისაა მოსახლეობა, რომელსაც ქუჩაში გავესაუბრე.

ხალხი ბრძენია, ხალხს არაფერი ეშლება, იგი ლაკმუსია, რომელიც ზუსტად რეაგირებს ამა თუ იმ მოვლენაზე. შესაძლოა ეს რეაგირება არ იყოს მაღალფარდოვანი სიტყვებით გადმოცემული, მაგრამ ჭეშმარიტება ხომ ერთია და მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ როგორ გადმოიცემა იგი.

**უბრალო მოქალაქე:**

— **უკაცრავად, თუ შეიძლება ერთ კითხვას დაგისვამთ. მივმართე კაცს, რომელიც გულდასმით კითხულობდა გაზეთს.**

— გისმენთ, — შემომხედა კითხვის გამომხატველი მზერით.

— **ვინ არის ვარდიკო?** ვკითხე და დაველოდე.

— ვინ ვარდიკო?

— **ჩვენი ვარდიკო, თავდაცვის მინისტრი, არ გაგიგონიათ?** დავუკონკრეტე.

— კი, ვარდიკო გამიგონია. თავი დაანებეთ. მაგ თავდაცვის მინისტრად კი არა და სადმე, სხვაგან უნდა დაენიშნათ — მიპასუხა რესპონდენტმა და გაზეთის კითხვა განაგრძო.

ხალხი ჭრელია, ერთი ადამიანის აზრი უმრავლესობის აზრი ხომ არ არის, გავიფიქრე და გადავწყვიტე გამეგრძელებინა გამოკითხვა.

ვინ უნდა შეაფასოს ჯარისკაცზე უკეთესად ოფიცერი? ამიტომაც, ამ ბოლო ხანებში ქუჩაში მომრავლებულ პოსტზე მდგომ ჯარისკაცს მივმართე (თუმცა ეს რომ დარღვევა იყო, მეც კარგად მესმოდა):

— **უკაცრავად, ჯარისკაცო!** ჯარისკაცი შემობრუნდა და იჭვნეულად დამაკვირდა (ეს უეჭველად მომრავლებული ტერაქტების ბრალია).

— დიახ, — იყო პასუხი (ამ პასუხით დაარღვია ის წესი, რომ პოსტზე ჯარისკაცი არ არის ვალდებული ვინმეს უპასუხოს)

— **ვინ არის ვარდიკო?** — ჯარისკაცს თვალები გაუფართოვდა, ალბათ გაიფიქრა, მოცლილია ვიღაცა, რა ვარდიკო, რის ვარდიკო მოეჩვენა ამ სალამოსო.

— **ჩვენი ვარდიკო, არ იცით?** — არ მოვეშვი.

— წადი რა, საქმე არ გაქვს? მთელი დღე აქ ვდგავარ (იცრუა, ალბათ, უფრო ორი, სამი საათი, თორემ მთელი დღე ასეთი აღჭურვილობით დგომა შეცვლის გარეშე ფიზიკურად შეუძლებელია). შენნაირი ორი რომ მოვიდეს დღეში, თქვენ გელაპარაკოთ თუ პოსტზე ვიდგე? თავი აარიდა კონკრეტულ პასუხს ჯარისკაცმა.

— **გეხვეწებით რა, მიპასუხეთ, ვინ არის ვარდიკო: მეტი არაფერი გინდა?**



რომ მიხვდა ჩემი მოშორების მხოლოდ ერთი შანსი — განგაშგის ატეხვა რჩებოდა, წარბები აწია და მიპასუხა:

— მინისტრია, მერე რა? სახეზე ცოტა ირონია, ცოტა გამოწვევა და ცოტა სიმკაცრე იგრძნობოდა ამ პასუხში.

— **ჯარისკაცო, გეხვეწები, ერთხელ კიდევ მიპასუხე, როგორი კაცია ვარდიკო?** — დავეჯღანე ჯარისკაცს და დაბნეულობისაგან რომ ველარაფერი მოიფიქრა, მიპასუხა:

— წადი და იმათ ჰკითხე, ვინც დანიშნა.

**ანა ჯულელი**

(მე-2 გვერდიდან)

# „საქართველოში ფსევდოკულტურის მოძალება, რაც ამ ხელისუფლების ბრალია“



**დებას: „იმ იდიოტს“ და გულისხმობს კი არა, პირდაპირ მიუთითებს ნემო ბურჭულაძეზე. თქვენ რას იტყვით?**

— ირინე სარიშვილზე ლაპარაკიც არ მსურს...

— **რატომ?**

— ირინე სარიშვილი იმ პარტიის წარმომადგენელია, რომელმაც 2 სექტემბერი მოაწყო. მეორე — ირინე სარიშვილი იმ პარტიის წარმომადგენელია, რომელმაც ცნობილი პრაღის 24 რეზოლუცია მიიღო, სადაც ქართველი ხალხი ოსების გენოციდის მომწყობად გამოჰყავდათ, ამიტომ, მის შესახებ ლაპარაკი საერთოდ არც მსურს.

— **მთელი ქალაქი მოფენილია ინგლისურენოვანი წარწერებით; რა კომენტარს გაუკეთებთ ამ ფაქტს?**

— ჩვენ „პროვინციელ ფაშისტებს“ გვიწოდებენ და დღეს, ვინც ხელისუფლებაშია, ვინც მართავს საქართველოს, უმრავლესობა, ვინც დღეს ფულს აკეთებს, არიან ძალიან დიდი პროვინციალები (პროვინციას ანუ სოფელს არ ვაყენებ შეურაცხყოფას), ჯერ ერთი და მეორეც, ქართული ენა უნდა უყვარდეთ უპირველესად და შემდეგ მოაწონებენ თავიანთ საქონელს უცხოელ შემსყიდველს. ამას ვიდრე არ ჩაუფიქრდებიან, ფულს ვერ იშოვიან. შეიძლება იშოვონ, მაგრამ დიდხანს ვერ ექნებათ ეს ფული და ვერც სხვა წარმატებები...

— **როგორც შევიტყვე, მერიიდან ილებენ ბრძანებას ინგლისური წარწერების თაობაზე...**

— თბილისის სხვადასხვა კუთხეში მე მინახავს ასეთი ლოზუნგი-მოწოდებანი: „მე გავითავისე ამერიკული ცხოვრების წესი, შეეცადეთ, გაითავისოთ თქვენც!“ ან: „ჩაწვდი ამერიკის სულს!“ ხომ არ აჯობებს ჩვენ მოვუწოდოთ მსოფლიოს — ჩაწვდნენ ქართულ სულს, რას ნიშნავს ეს ყველაფერი — იქით ინგლისური წარწერები, აქეთ — მოწოდებანი?

ეს ყველაფერი ძალიან მაწუხებს: ეს რეკლამებიც, ეს წარწერებიც. ახლა რას ნიშნავს „ჩაწვდი ამერიკის სულს.“ ამერიკის სულის წვდომა, ჩემის აზრით, ნიშნავს — ბიძაშვილთან სტუმრად აპირებდე წასვლას და წინასწარ დაურეკო — სცალია თუ არა მიგიღოს, ხოლო ამ ყველაფრის პროპაგანდა ნიშნავს — ქართველმა ქართული აღარ გაიკაროს, ქართველმა ქართული დაივიწყოს, ქართულ კულტურაზე უარი თქვას. ფსევდოკულტურის მოძალება ძალიან გაძლიერებულია საქართველოში; ეს ამ ხელისუფლების ბრალია;

— **თქვენ ახლოს იცნობდით ზვიად გამსახურდიას, გვესაუბრეთ მასზე — როგორი ლექტორი იყო, როგორი პიროვნება, რას გიკითხავდათ?**

— იგი კითხულობდა საჯარო ლექციებს რუსთველოლოგიაში. მოგეხსენებათ, მას ახალი ხედვა ჰქონდა ამ დარგში. ლექციები ყოველთვის უმაღლეს დონეზე ტარდებოდა. ჰყავდა უამრავი მსმენელი. სხვათაშორის, უნივერსიტეტში მისი აღდგენის ერთ-ერთი მოთავე მე გახლდით. მისი ლექციები ყოველთვის ძალიან საინტერესო იყო; იქამდის, დაჩვეულები ვიყავით გატკეპნილი გზით სიარულს. ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლისას დავრწმუნდი, რომ ზვიად გამსახურდიას „ვეფხისტყაოსნის“ შეფასება-ხედვა ახლებურია;

— **ბატონო გია! მიგაჩნიათ თუ არა, რომ ეროვნულ მოძრაობას აუცილებლად სჭირდება ლიდერი. ამ ეტაპზე ვის მიიჩნევთ ეროვნული მოძრაობის ლიდერად, დაასახელეთ თუნდაც რამდენიმე ლიდერი!**

— ჩემის აზრით, უნდა ჩამოყალიბდეს გუნდი, ერთ პიროვნებაზე დაყრდნობა არ შეიძლება; ორ პიროვნებაზე ვიყავით დაყრდნობილნი და ერთიც მოკლეს და მეორეც. ასე რომ, უნდა ჩამოყალიბდეს გუნდი ლიდერებისა. სანამ გუნდი არ იქნება, არაფერი გამოვა, — ერთს რომ მოკლავენ, მეორე უნდა მოვიდეს, ორს რომ მოკლავენ, ოთხი უნდა მოვიდეს. სანამ გუნდი არ იქნება, მანამდე ეროვნულ მოძრაობას არ ექნება საშუალება, რომ პარლამენტში შეიყვანოს უმრავლესობა. უნდა გვყავდეს კანონშემოქმედებითი ხალხი — განათლებულები, პროფესიონალები, რაც მთავარია, პატრიოტები.

— **დავუბრუნდეთ შევარდნაძისა და კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენელთა შეხვედრას. რა იქნება შემდგომში?**

— თუ ეს მოლაპარაკებები გაგრძელდა და არ მოგვატყუეს, ამას ექნება შედეგი: შეიქმნება კომისია, რომელიც შეისწავლის და დაგმობს, რაც მოხდა. შეიქმნება პრეცენდენტი — პოლიტიკური თვალსაზრისით. უმთავრესი, რაც უნდა მოხდეს, ეს ისაა, რომ უნდა შეიქმნას ცენტრალური საარჩევნო კომისია პარიტეტულ საწყისებზე. ხალხმა უნდა აირჩიოს ის, ვინც მას მიაჩნია ღირსეულად.

— **მაგრამ გაყალბების გარეშე, არა?**

— დიახ, გაყალბების გარეშე. მაგალითად, დღეს ქვეყანას მართავს მოქალაქეთა კავშირი. ოცდასამი პროცენტი დაიწერეს, მაშინ როცა ჩვენ 18 პროცენტი მივიღეთ. ჩვენი ხმები მათ მიიწერეს, შეაკოწიწეს და 23 პროცენტი დაიწერეს. ფაქტიურად, ტოტალიტარიზმია, როგორ შეიძლება ქვეყანას ასე მცირეხმებიანი პარტია მართავდეს. ეს უნდა აღმოიფხვრას, სანამ ეს არ მოისპობა, არჩევნებსაც აზრი არ ექნება. არჩევნები სამართლიანად უნდა ჩატარდეს.

ესაუბრა
**ლელა ბაჩლელი**

## აფხაზეთი

# როგორ ვიბრძოდით?!

### გთავაზობთ აფხაზეთის ომის მონაწილის მოგონებებს, რომლის ავტორმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა

ვმონაწილეობდი საქართველოს არმიის ისტორიაში პირველ საზღვაო დესანტში 1992 წ. 14-15 აგვისტოს. დაგეგმილი იყო დესანტის გადასვლა განთიადთან, მაგრამ ვერ მოხერხდა, ნაპირზე ლესელიძეში გადავედით. სულ სადესანტო ჯგუფში 145 კაცი ვიყავით. მუდმივი სამსახურის ხალხი, მოხალისეებიც, ახალწვეულებიც.

აფხაზები მომზადებული იყვნენ დასახვედრად. მათ ეგონათ, ჩვენ განთიადში გადმოვსხდებოდით და იქ სანგრებიც კი ჰქონდათ გათხრილი. ლესელიძეში მოსვლა და გამაგრება ვერ მოასწრეს, მანქანებით მოდიოდნენ.

დესანტის გადასვლისას მოხდა შეტაკება აფხაზებთან. დავკარგეთ ორი კაცი. აფხაზები ძირითადად ავტომატებით, თოფებით, ტყვიამფრქვევებით იყვნენ შეიარაღებულნი...

ჩვენი, შავნაბადას ბატალიონი მებრძოლი, ორგანიზებული ნაწილი იყო, ხელმძღვანელები იყვნენ აკია ბარბაქაძე და კობა კობალაძე...

ბზიფამდე ჩავედით ბრძოლით. ძლიერი წინააღმდეგობა არ იყო, გარბოდნენ, ტექნიკა რომ ნახეს, შეეშინდათ.

ბზიფამდე ერთ დღეში ჩავედით ბრძოლით. ბზიფში ბრძანებით შეგვაჩერეს, ერთი დღე-ღამე გვეკავა პოზიცია, მერე დავიხიეთ კოლხიდამდე და იქ დავიკავეთ პოზიცია.

ჩვენი უკანდახევის შემდეგ აფხაზებმა ბზიფთან თავი მოუყარეს ძალებს (გუდაუთიდან დამხმარე ძალა მოუვიდათ, გზა თავისუფალი იყო).

ლესელიძეში ჩასვლისას რუსეთის საზღვარზე დავაყენეთ 10 კაცამდე, აღვმართეთ ჩვენი დროშა. რუსებმაც საზღვარზე ტექნიკა განალაგეს და ჯავშანჟილეტიანი ხალხი დააყენეს.

საზღვარზე ხალხი მოძრაობდა შემოწმების შემდეგ. გაგრაში რომ ვიყავით, [illegible] ებიც იყვნენ, ბოლო ჯგუფი, 20 კაცამდე, გაგრიდან 6 სექტემბერს წავიდა.

გაგრაში ჩვენი შესვლისას არეულობა, ძარცვა არ იყო. წესრიგის დასაცავად იქ მილიციის კურსანტები ჩაიყვანეს, ისინი კი პოზიციებზე გააგზავნეს.

წესრიგს მხედრიონი იცავდა.

ბაზა ჯერ სკოლაში, შემდეგ პანსიონატ „საქართველოში" გვქონდა. იქ დამსვენებლებთან ერთად ვიკვებებოდით.

ბზიფიდან კოლხიდაში ჩავედით და მერე იქ ვიყავით. იყო პოზიციური ბრძოლები. 28 აგვისტოს შეუტიეს კურსანტებს, ძირითადად რუსები და აფხაზები იყვნენ. დღისით გუდაუთაში რუსების გემი შემოვიდა, ღამით კი შეტევა დაიწყეს. კურსანტებიდან 16 კაცი დაიღუპა, მაგრამ პოზიციები არ შეცვლილა.

მე ათკაციანი ჯგუფით ალახაძის მარჯვენა მხარეს ვიდექი. ბრძოლების შემდეგ უკან დავიხიეთ 100 მეტრზე. ის პოზიცია აფხაზებმა დაიკავეს, შემდეგ დამხმარე ძალა მოვიდა და ისევ დავიბრუნეთ.

ამ დროს ადგილობრივი მოსახლეობა შეიარაღებული არ იყო. ბრძოლის სურვილი ნაწილში იყო, ნაწილი კი ყველაფერს ტოვებდა და რუსეთისკენ გადადიოდა.

ჩვენ მოსახლეობას 150 ავტომატი დავურიგეთ... შეიქმნა გაგრის ბატალიონი.

გაგრაში ამ დროს ჯ. იოსელიანი, გენერალი მარინაშვილი, გ. კვანტალიანი იყვნენ...



გაგრის ზემოთ მთებში ობსერვატორიამდე 15 კმ. წავედით დაზვერვაზე სამი კაცი. ერთი იქაური მონადირის შვილი გაგვყვა მეგზურად. გზაზე არავინ შეგვხვედრია.

ჩვენს მერე განთიადთან, ლესელიძესთან კურსანტები და გაგრის მილიციელები იდგნენ. მათ რკინიგზის ხიდთან, ღამით დააკავეს ბოევიკები, შეიარაღებული კაზაკები, სამნი, რუსეთიდან შემოვიდნენ.

ჩვენ დავაკავეთ თათრები: მამაშვილი. მთიდან ჩამოვიდნენ. სოფელში ჩასვლა ვერ მოასწრეს. დაქირავებულები იყვნენ, კონტრაქტი დამთავრებული ჰქონდათ. მათ რა ბედი ეწიათ, ჩვენთვის უცნობია.

გაგრაში ვიყავი 25 სექტემბრამდე. ბრძანებით დავტოვეთ ქალაქი. იქედან თბილისში ჩამოსულებს უცხო სამყარო დაგვხვდა.

მშობლები რომ გვხვდებოდნენ აეროპორტში, იმით მიხვდებოდა კაცი, რომ ომიდან ვბრუნდებოდით.

ჩვენი გამოსვლის შემდეგ გაგრაში შეიყვანეს მოხალისეები 2 ბატალიონი, მილიციის სკოლა 100 კაცამდე, მხედრიონელები. გაგრაში დარჩა 700-მდე შეიარაღებული მებრძოლი, ტექნიკაც ქონდათ...

მარტში ისევ სოხუმში წავედი. 16 მარტს გადავფრინდი და ბატალიონს შევუერთდი. სოხუმზე მტრის შემოტევა დამთავრებული იყო. პოზიციები გვქონდა შრომაში, ახალშენთან, ცუგუროვკასთან.

ჩვენს ბატალიონში 450 კაცი იყო, აქედან 950 კონტრაქტით. 3 აპრილს, კონტრაქტის დამთავრების შემდეგ, სამინისტროს ბრძანებით თბილისში დავბრუნდით. ბატალიონმა 6 კაცი დაკარგა ამ დროს სოხუმთან ბრძოლებისას...

1993 წ. 29 მაისს, საზეიმო ალლუმის მესამე დღეს ისევ სოხუმში ჩავფრინდით 180 კაცამდე და ახალ კინდღში პიონერთა ბანაკში დავბანაკდით. პოზიციები ანუარხუს გორაკზე გვქონდა.

ანუარხუსთან აფხაზები 3-4 კაცი გამოხტებოდნენ, ისროდნენ და გაიქცეოდნენ...

სადესანტო-საიერიშო ნაწილმა ოპერაცია ჩაატარა და კვიტოულამდე მივიდა. ჩვენი ნაწილი იცავდა მათ ზურგიდან. გამყოლი არ ყავდათ, რუკით მიდიოდნენ. გზა აებნათ. კვიტოულამდე რუკაზე არაღნიშნულ დასახლებაში აფხაზები ყოფილან, გაატარეს ჩვენი რაზმი, აცნობეს თავისიანებს და ჩვენი ნაწილის ალყაში მოქცევა უნდოდათ. ჩვენ ნაღმტყორცნებით დავეხმარეთ და მათი გეგმა ჩაიშალა...

ღამ-ღამობით სამნი მივდიოდით „სანადიროდ" კობა კობალაძესთან ერთად. ღამის ხედვის აპარატებით, ავტომატებით და კარაბინებით ვმუშაობდით.

აფხაზების მხრიდან მეგრულად გვაგინებდნენ. ჩვენც მეგრულად ვპასუხობდით...

2 ივლისს რუსებმა დესანტი გადმოსხეს. მაშინ ტამიშში, ანუარხუს სიმაღლესთან ვიყავით.

მოწინააღმდეგე ზღვიდან გადმოვიდა: 6 კატერი, 500 კაცამდე შეიარაღება, ტექნიკა ნაპირზე აიღეს. ჩვენმა სანაპირო დაცვამ დაიძინა. მხოლოდ მეხუთე გემი რომ იცლებოდა, მაშინ შეამჩნიეს და ატეხეს განგაში. ამასობაში რუსები ჩვენს პოზიციებს დაესხნენ თავს. შეუტიეს ტამიშის სკოლაში განლაგებულ ჯარისკაცებს.

მოულოდნელობის გამო დიდი იყო ჩვენი დანაკლისი. ჩვენი ბატალიონიდან 26 კაცი დაგვეღუპა, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბატალიონიდან — 70 კაცი. დიდი მსხვერპლი იყო ახალციხის ბატალიონში „თეთრ არწივში"...

კინდღის ბაზიდან ჩვენ 30 კაცით მოვუსწარით ანუარხუზე. ერთი პოზიცია დათმობილი იყო. ჩვენ ტრანშეაზე გავმაგრდით.

დესანტის შემოტევისას შემოგვიტიეს ტყვარჩელიდანაც. ჩვენი ბატალიონის ჯავშანტრანსპორტიორი და მანქანა დასახმარებლად მიდიოდნენ ლაბრაში და ააფეთქეს. ამ დროს 26 კაცი დაიღუპა...

ანუარხუზე პოზიცია გავამაგრეთ, მაგრამ ალყაში მოვექეცით 100 კაცი. 10 დღე ალყაშემორტყმულები ვიყავით.

9 ივლისს ძლიერი შემოტევა იყო. ანუარხუს სიმაღლისათვის იყო ბრძოლა. მთელი ძალა ჩვენ გვიტევდა. ამ სიმაღლეს (ანუარხუს) დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: 2 კილომეტს აკონტროლებდა იქეთ-აქეთ ოჩამჩირესთან.

დამხმარე ძალა რომ შემოვიდა, აფხაზებმა უკან დაიხიეს. ალყის გარღვევისას დაგვეხმარა ლოთი ქობალიას ხალხი...

ანუარხუზე მტერი გვიტევდა 4 ტანკით, სამი დავატოვებინეთ. ჩვენ „გრადი" გვყავდა. შემდეგ ის „გრადი" აფხაზეთში დარჩა.

ანუახუში ჩვენგან 3 დაიღუპა, 7 დაიჭრა. (ანუარხუში, ჩვენს პოზიციებთან ახლოს აფხაზი წერეთლის სახლი იყო).

ალყის დროს გორაკზე წყალი არ გვქონდა. მერე იწვიმა, თხრილებიდან ვიღებდით ნაწვიმარ წყალს, ვფილტრავდით და ვსვამდით.

12-ში გამოვედით ალყიდან.

ტამიშიდან ჩვენი მებრძოლები ამოვასვენეთ. 26 კაცი ტრაქტორით დაემარხათ, ერთმანეთზე მავთულით გადაებათ და ისე ჩაეყარათ.

10 დღის დამარხულების ამოსვენებაზე აირწინაღებით მუშაობდა ხალხი. დაღუპულები თბილისში გადავასვენეთ. ჩვენც დაჭრილებთან ერთად თბილისში გადმოვფრინდით.

4 აგვისტოს სპეცრეისით ისევ სოხუმში ჩავფრინდით. აჩადარაში პოზიციებზე დაგვაყენეს. სროლა არ იყო. აფხაზები გუმისთის იქეთ იდგნენ, ჩვენ — აქეთ.

მაშინ მოლაპარაკება იყო პოზიციების დაშორიშორებაზე.

18 აგვისტოს ჩვენს პოზიციაზე მოვიდა გენერალი შოიბუ და რუსთა 10 კაციანი რაზმი. პოზიცია მათ ჩაიბარეს. ჩვენ გვაცნობეს, რომ რუსები მოდიან, დამკვირვებლებიც და არ ესროლოთო.

დაიწყეს ხიდის, სანაპიროს გასუფთავება. 450 ნაღმი ამოიღეს ხიდთან.

შოიგუმ მოსვლისას გვითხრა: **Я думал, что здесь стол будет накрыт с прекрасным грузинским вином.**

მაგიდაზე ნაღმები ეწყო. მე ვუთხარი: **Вот стол накрыт, угощайтесь.**

კორესპონდენტები მოვიდნენ უცხოელები, თბილისადანაც. აფხაზი მეომრებიც გადმოვიდნენ. შერიგებააო, ამბობდნენ.

ჩვენ ბარგი-ბარხანა, იარაღი წამოვიღეთ სოხუმში. აეროპორტში აფხაზი და რუსი დამკვირვებლები იყვნენ.

21 აგვისტოს გადმოვფრინდით სოხუმიდან თბილისში. მერე სოხუმში არ წავსულვართ.

შემდეგ ჩვენი ნაწილი იდგა ფოთში, ნაბადაში...

საერთოდ ომის დროს ჯარში არეულობა, ქაოსი იყო.

*(სტილი შენარჩუნებულია)*

**ჩაიწერა**
**ანზორ სიჭინავამ**

---

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს ბ-ნ ვ. ყოლბაიას**
**აფხაზეთის ა/რ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბ-ნ თ. ნადარეიშვილს**
**აფხაზეთის ა/რ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბ-ნ ზ. ერქვანიას**

**ლანჩხუთში მცხოვრები ლტოლვილების კოლექტიური**

## განცხადება

ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, მოგახსენებთ, რომ ბედის ირონიით ვართ ორმაგად დაჩაგრულნი, ჯერ რომ ვართ დევნილი საკუთარი მიწა-წყლიდან — აფხაზეთიდან და შემდგომ, რომ მოვხვდით ლანჩხუთის რ-ში.

ძნელია გაუძლოს ადამიანის გულმა ამდენ (რბილად რომ ვთქვათ) უყურადღებობას არა მარტო ცენტრალური, არამედ ადგილობრივი მთავრობის მხრიდანაც, ვინაიდან ოთხი წლის მანძილზე ჩვენს მიმართ არავის მინიმალური თანადგომაც კი არ გამოუჩენია. ამ ხნის მანძილზე, შეიძლება ვთქვათ, არავითარი ჰუმანიტარული დახმარება არ მიგვიღია და მხარდაჭერა არ გვიგრძვნია. არც არავინ დაინტერესებულა, თუ რა ხდება რაიონში დევნილთა დახმარების მხრივ, არც არავინ ჩამოსულა დევნილებთან შესახვედრად და მათი გულისტკივილის გასაზიარებლად.

ჩვენ არ გვინდა ვინმეს დავუპირისპირდეთ და იმ დროს, როდესაც ჩვენი აფხაზეთში დაბრუნების რაღაც ნაპერწკალი აკიაფდა, ვინმეს ბანაკში მოვხვდეთ. არც ბუნკერში ჯდომას ვაპირებთ და არც გზების გადაკეტვას. მხოლოდ ვთხოვთ: დროზე პენსიები და ფულადი დახმარება, ზამთარში შეშა, საკვები პროდუქტები, სამედიცინო დახმარება და ა. შ.

გთხოვთ ჩამობრძანდეთ, მოგვისმინოთ, შეისწავლოთ ჩვენი მდგომარეობა და მიიღოთ სათანადო ზომები.

15. 02. 98 წ.

რ. გოგოხია
ხ. ქობალია
ნ. ქობალია
ზ. დემურია ... (სულ 43 ხელმოწერა)

---

## ახალი ამბები

### ჯავახიშვილს სოციალისტები გამოექომაგნენ

06/03/98(გეა) /ინგა გრიგოლია/ რადგან მოქალაქეთა კავშირი ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოსტზე ჯავახიშვილის კანდიდატურას არ უჭერს მხარს, სოციალისტურმა პარტიამ, რა თქმა უნდა, მომენტი ხელიდან არ გაუშვა და დღეს ჯავახიშვილის დასაცავად პრესკონფერენცია მოაწყო. „მმართველმა პარტიამ ვერ აიტანა ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის ხარისხის შენარჩუნება ნოდარ ჯავახიშვილის მიერ, როგორც ეს „უმრავლესობის პოლიტიკიდან გამოჩნდა, მას იმიტომ დაუწყეს ბრძოლა, რომ ჯავახიშვილი და მისი გუნდი არ გახდა მათი მარიონეტი - განაცხადა ფრაქცია „მაჟორიტარი-სოციალისტის თავმჯდომარის მოადგილემ, თენგიზ ჯგუშიამ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე. მისივე თქმით, არ შეიძლება ეროვნული ბანკის ხელმძღვანელი ორმაგი დაქვემდებარების კომპლექსის ქვეშ იყოს და სავალუტო ფონდის ვალდებულების პარალელურად რომელიმე პარტიის წინაშე გრძნობდეს ვალდებულებას, რადგან ასეთი ხელმძღვანელი ქვეყნის ეკონომიკას დაღუპვისკენ წაიყვანს.

თენგიზ ჯგუშიას მიაჩნია, რომ ის ძალები, რომლებიც ეროვნული ბანკის ხელმძღვანელს ებრძვიან, ყველაფერს აკეთებენ ისეთი ამინდის შესაქმნელად, რომ პრეზიდენტს არ მიეცეს მისი კანდიდატურის პარლამენტში წარდგენის საშუალება.

ჯგუშიას განცხადებით, არამართებულია, როცა ჯავახიშვილს ისეთ საკითხზე ედავებიან, რომლის საქმის კურსში უფრო მაღალი უწყებების წარმომადგენლები და თავად პარლამენტი იყვნენ.

სოციალისტ-ფინანსისტი და ყოფილი მოქკავშირელი ჯგუშია თვლის, რომ ჯავახიშვილის პიროვნებასთან ბრძოლის გამო მოხდა ქვეყნის მთელი საბანკო სისტემის პარალიზება. მისივე აზრით, ასეთი მიდგომა ქვეყნისათვის დამღუპველია, თუმცა, აქვე აღნიშნა, რომ ჯავახიშვილი ამ პოსტზე შეუცვლელი არ არის.

### კვარაცხელია პრესასთან იმუშავებს

06/03/98(გეა) /თამარ ხონელიძე/ სახალხო დამცველმა, დავით სალარიძემ უარყო მოარული ხმები იმის შესახებ, რომ წინა მოწვევის პარლამენტის დეპუტატის, ვალერი კვარაცხელიას კანდიდატურა მისი მოადგილის თანამდებობაზეა წარდგენილი. თუმცა, მისივე განცხადებით, აღნიშნული პიროვნება სახალხო დამცველის აპარატში მუშაობს, როგორც სალარიძის რწმუნებული და მას დავალებული აქვს დაარეგულიროს სახალხო დამცველის აპარატის ურთიერთობა პრესასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ამბები

### ერთდროულად 60 ადვოკატი ჩივის

06/03/98(გეა) /ეკა ბახუტაშვილი/ სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის იურისტმა, იზა კერესელიძემ გეა-ს კორესპონდენტთან საუბრისას განაცხადა, რომ აღნიშნულ ფონდს ნაძალადევის რაიონის სასამართლოში ამ რაიონის ადვოკატურის 60-მა ადვოკატმა უჩივლა.

კერესელიძის თქმით, ადვოკატები 1996 წლის ხელფასებზე დარიცხულ სოციალურ ანარიცხებს არასწორად მიიჩნევენ. სადაო თანხა 6350 ლარს შეადგენს, რომელიც 1997 წელს ნაძალადევის რაიონის სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის განყოფილების მიერ შემოწმების საფუძველზე გამოვლინდა.

კერესელიძის თქმით, ადვოკატები აღნიშნული თანხის უკან დაბრუნებას სუსტი არგუმენტების საფუძველზე მოითხოვენ. კერძოდ, ისინი თავიანთ თავს დასაქმებულებად არ მიიჩნევენ. სასამართლო პროცესი უკვე ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობს და რამდენჯერმე გადაიდო.

### ნადიბაიძეს საბერძნეთის თავდაცვის სამინისტროსთან კარგი ურთიერთობა აქვს, მაგრამ რუსეთიც არ ავიწყდება

06/03/98(გეა) /ნინო ცხოიძე/ საქართველოსა და საბერძნეთის თავდაცვის სამინისტროების ურთიერთობებთან დაკავშირებით საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, ვარდიკო ნადიბაიძემ აღნიშნა, რომ საბერძნეთის თავდაცვის სამინისტროსთან მნიშვნელოვან ხელშეკრულებას ჯერ კიდევ ივლისში, საბერძნეთში მისი ოფიციალური ვიზიტისას მოეწერა ხელი. „დღევანდელი ვიზიტი კი იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენ ამ თანამშრომლობით გათვალისწინებულ ხელშეკრულებებს ვამუშავებთ" — განაცხადა ვარდიკო ნადიბაიძემ.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, საუბარია არა მხოლოდ სამხედრო კატარღის გადაცემაზე. დაიწყო დიდი სამუშაოები სამხედრო პორტის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, რაც ასე სჭირდება ჩვენს ქვეყანას. უკვე ერთი თვეა ბერძენი სამხედრო საზღვაო სპეციალისტები ჩაძირული გემების მოძიებით არიან დაკავებულნი. ამ საქმეში ორი ქვეყნის თანამშრომლობა დღითი-დღე ღრმავდება.

რაც შეეხება ვარდიკო ნადიბაიძის საბერძნეთში ვიზიტისას სამხედრო-სამრეწველო კომპლექსისა და სამხედრო ტექნიკით დახმარების თაობაზე დასახულ პროგრამას, ნადიბაიძის თქმით, ამისათვის უკვე მიმდინარეობს სპეციალისტთა გადამზადება. შეთანხმების თანახმად, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის სპეციალისტები მალე საბერძნეთს გაემგზავრებიან. ისინი შეიმუშავებენ როგორც პრაქტიკული საქმიანობის, ასევე სამხედრო-საზღვაო ძალებთან ურთიერთობის საკითხებსაც.

ნადიბაიძის თქმით, ეს არ ნიშნავს სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის შესუსტებას. „ჩვენ რუსეთთანაც მოვაწერეთ ხელი მნიშვნელოვან დოკუმენტებს და სერგეევის ვიზიტის ფარგლებში, რომელიც სულ მალე გაიმართება, კიდევ მოვაწერთ" — არ დაავიწყდა რუსეთი საქართველოს თავდაცვის მინისტრს.

# კრიმინალური ქრონიკა

### ნაჯახით შვილი დაჭრა!

5 მარტს ღამით გორის პოლიციელებმა შეიტყვეს, რომ სოფელ მერეთში, 44 წლის ომარ ელიაშვილმა ურთიერთშელაპარაკებისას ნაჯახის დარტყმით თავში დაჭრა შვილი, 27 წლის თამაზ ელიაშვილი და მიიმალა. ელიაშვილი მოთავსებულია საავადმყოფოში.

### კონტრაბანდა

4 მარტს სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტის კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურისა და თბილისის აეროპორტის პოლიციის თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციის შედეგად ამხილეს იაროსლავში მცხოვრები, 31 წლის ლევან ამბროლაძე, რომელსაც საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით მოსკოვში 12 დასახელების 4424 ლარის ღირებულების საიუველირო ნაწარმი გადაჰქონდა.

### 12 ტონა ელექტროსადენები დააკავეს!

5 მარტს დუშეთის საგზაო პოლიციის მცხეთა-თიანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებროს სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს თბილისელი სოლომონ კვეზერელის ავტომანქანა „მაზი", რომელსაც მინდობილობის გარეშე მართავდა გლდანელი, 37 წლის ლევან კაბულაშვილი და ყოველგვარი საბუთების გარეშე გადაჰქონდა მგზავრის ოზურგეთის რაიონის სოფელ მერიაში მცხოვრებ 24 წლის ასლან კოჩალიძის 12 ტონა მაღალი ძაბვის გადაჭრილი ალუმინის ელექტროსადენები.

### ძმის მკვლელი დააკავეს!

4 მარტს რუსთავის პოლიციელებმა დააკავეს რუსთაველი თენგიზ ლომიძე, რომელმაც დილის 5 საათზე ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე რუსთავში, ტაშკენტის ქუჩის მე-7 კორპუსის ეზოში დანით კისრის არეში დაჭრა ძმა, 27 წლის ალეკო ლომიძე, რომელიც საავადმყოფოში გარდაიცვალა.

### ნავთის ჯიხური დააყაჩაღეს!

3 მარტს რუსთავის პოლიციელებმა დააკავეს რუსთაველები: 19 წლის ზურაბ სონიშვილი, 18 წლის ზაზა ბიწკინაშვილი, 25 წლის ივანე ბურდული, 21 წლის კობა გოგოლაძე, რომლებმაც გადაჭრილი თოფის მუქარით რუსთავში მდებარე ნავთის გასაყიდ ჯიხურიდან რუსთავში მცხოვრებ არსენ ალადაშვილის და ზალიკო ნერგაძეს 100 ლარი გასტაცეს.

### ჩხრეკის დროს 10,65 გრამი „ოპიუმი" აღმოაჩნდა!

4 მარტს შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს და კახეთის შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურის მცხოვრებნი ნარკოტიკების რეალიზაციის ფაქტზე, 26 წლის ივანე ნასყიდაშვილი, რომელსაც პირადი ჩხრეკის დროს 10,65 გრამი ოპიუმი აღმოაჩნდა, მასთან ერთად დააკავეს ნარკოტიკული ნივთიერების მომხმარებელი 27 წლის პაატა ფიცხელაური.

### სიახლე ჯიხაშკარიდან!

3 მარტს სამეგრელო-სვანეთის სამხარეო პოლიციის სამმართველოს, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომლებმა ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯიხაშკარში მცხოვრებ 71 წლის მავრა ხატავას ეზოს მიმდებარე ტყის მასივიდან ამოიღეს: 10 ცალი ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარა „რკგ" 5 კაპსულდეტონატორით, 7 ხელყუმბარა „რგდ", 6 ხელყუმბარა „ფ"1, ავტომატ „აკს"-ის 880 ცალი ვაზნა. ტყვიამფრქვევის ლენტი 90 ვაზნით.

### აირის ქურდები!

4 მარტს მცხეთა-მთიანეთის კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურის თანამშრომლებმა ამხილეს ყაზბეგის რაიონის სოფელ გარბანში მცხოვრებლები:




45 წლის გია გუჯარაიძე, 40 წლის ოთარ გუჯარაიძე და 69 წლის ვასილ მელაძე, რომლებმაც 1996 წლიდან 1998 წლამდე უკანონოდ მოიხმარეს 3590 ლარის, 9400 ლარის და 6724 ლარის ღირებულების აირი, აგრეთვე ამხილეს დაბა ყაზბეგში მცხოვრები, 65 წლის სოლომონ ღუდუშაური და სოფელ არშაში მცხოვრები, 47 წლის მერაბ ბაზალი, რომლებმაც იმავე პერიოდში უკანონოდ მოიხმარეს შესაბამისად 3600 და 5410 ლარის ბუნებრივი აირი.

### ავტოავარიამ იმსხვერპლა!

2 მარტს 22 საათზე, სოფელ ქვენატკოცაში თბილისის შპს „ფარმაცმედტექნიკის" ავტომანქანა, რომელსაც მართავდა 33 წლის ემზარ ბუთურიშვილი, შეეჯახა ხაშურის რაიონის წყალმეურნეობის ტრაქტორს, მართავდა 41 წლის ანზორ ბუზალაძე, რის შედეგადაც ავტომანქანის მგზავრები სოფელ ლოლეთში მცხოვრებნი, 34 წლის მიხეილ ლვალაძე და მისი შვილი 10 წლის თეონა ლვალაძე ადგილზე გარდაიცვალნენ.

3 მარტს 01 საათზე ბათუმში, ლეონიძის ქუჩაზე ავტომანქანა „მიცუბისში", რომელსაც მართავდა 42 წლის იგორ ბუგორსკი შეეჯახა კედელს, რის შედეგადაც მძღოლი გარდაიცვალა, ხოლო სხეულის დაზიანებები მიიღეს 32 წლის ვახტანგ სულაქველიძემ და 32 წლის ვლადიმერ გერაძემ.

2 მარტს, 22 საათზე, თბილისში გურამიშვილის გამზირზე, ავტომანქანა „ვაზ"-2107 ააუ 739, მართავდა დილმელი პაატა ღურჯუმალია, დაეჯახა ფეხით მოსიარულეს, 51 წლის სიმონ ჩილუნაძეს, რომელიც საავადმყოფოში გარდაიცვალა.

### რკინიგზის დეპარტამენტი აზარალა!

რამოდენიმე დღის წინ სატრანსპორტო დეპარტამენტის, კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურის თანამშრომლებმა ამხილეს რკინიგზის სადგურ „მცხეთის" უფროსი, მცხეთელი, 47 წლის ზურაბ კალანდაძე, რომელმაც საბუთების გაყალბების გზით დამალა ფირმა „მეგობრობის" მიერ ბუნებრივი სასმელი წყლით დატვირთული ვაგონების მოცდენა, რითაც რკინიგზის დეპარტამენტს 8411 ლარის ზარალი მიაყენა.

### გონს მოეგნენ!

2 მარტს ზუგდიდის პოლიციას ადგილობრივმა ზურაბ თორიამ ნებაყოფლობით ჩააბარა ავტომატი „აკმ"-ი ერთი მჭიდით და 25 ვაზნით. მას მიბაძეს ზუგდიდელებმა: 49 წლის ვაჟა გელანტიამ (მცირეკალიბრიანი შაშხანა), 37 წლის ზურაბ კეჟიამ (ავტომატი „აკმ" ერთი მჭიდით და 26 ვაზნით) 69 წლის ვალერიან ცანავამ (ავტომატი „აკმ" ერთი მჭიდითა და 5 ვაზნით), და 44 წლის ვალიკო თოფურიამ, რომელმაც პოლიციელებს ჩააბარა 2 ხელყუმბარა „ფ"-1.

3 მარტს ფოთის პოლიციელებს ფოთელმა, 43 წლის ტარიელ კურტანიძემ ნებაყოფლობით ჩააბარა ავტომატი „აკმ".

წალენჯიხის პოლიციას სოფელ ჯგალში მცხოვრებმა 64 წლის გუძია ბელქანიამ ნებაყოფლობით ჩააბარა საზენიტო მოწყობილობის ჭურვი „ალაზანი-27".

3 მარტს ქარელის პოლიციელებს სოფელ კეხიჯვარში მცხოვრებმა 23 წლის რამაზ ჯაიანმა ნებაყოფლობით ჩააბარა ხელყუმბარა „ფ"-1.

4 თებერვალს სენაკის პოლიციელებს, სენაკელმა 27 წლის ილია ჭანტურიამ ნებაყოფლობით ჩააბარა ავტომატი „აკს".

4 მარტს ზუგდიდის რაიონის სოფელ გრიგოლიშში მცხოვრებმა 45 წლის ზურაბ საჯაიამ ზუგდიდში დისლოცირებულ აფხაზეთის შსს დროებით შტაბში ნებაყოფლობით ჩააბარა ავტომატი „აკმ" წაშლილი ნომრით, 4 მჭიდით, 400 საბრძოლო ვაზნით და 4 ცალი ხელყუმბარა „ფ"-1.

4 მარტს ზუგდიდის პოლიციას სოფელ ნარზენში მცხოვრებმა 50 წლის ცეზარ სულუხიამ ჩააბარა 65 ცალი მსხვილკალიბრიანი 100 მილიმეტრიანი ქვემეხის ჭურვი და 12 ცალი 85 მილიმეტრიანი ქვემეხის ჭურვი.

ხობში პოლიციას სოფელ შუა ქვალონში მცხოვრებმა 70 წლის ვიტია მიქავამ ნებაყოფლობით ჩააბარა 2 ხელყუმბარა „ფ"-1.

ახალციხის პოლიციას ახალციხელმა 31 წლის გურიკ არუთინოვმა ნებაყოფლობით ჩააბარა ტყვიამფრქვევის 40 ვაზნა და 4 ხელყუმბარა „ფ"-1.

### მძარცველები დაისჯებიან!

5 მარტს მეტროპოლიტენის დაცვის და ადმინისტრაციული პოლიციის თანამშრომლებმა, მეტრო სადგურ „სარაჯიშვილის" ქვედა ვესტიბიულში დააკავეს საგარეჯოში მცხოვრები 21 წლის ზაქრო გრატიაშვილი, რომელმაც გლდანში მცხოვრებ ლეილა სივსივაძეს ხელჩანთა და პირადი ნივთები გასტაცა.

5 მარტს ვაკის პოლიციელებმა „ცხელ კვალზე დააკავეს" გორის რაიონის სოფელ პატარა გორიჯვარში მცხოვრები, 27 წლის ვასილ დოლიძაშვილი და წყალტუბოს ზონის სოფელ მაღლაკში მცხოვრები, 35 წლის გოჩა მოსეშვილი, რომლებმაც ვაჟაზე მდებარე კაფე „ჩარგლის" მიმდებარე ტერიტორიაზე თბილისელ გოდერძი ნებიერიძეს ფიზიკური ძალის გამოყენებით 320 ლარი და საბუთები წაართვეს. ნივთმტკიცება ამოღებულია.

### კიდევ ერთი თაღლითი!

4 მარტს შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად დაადგინეს, რომ 1997 წლის 15 ნოემბერს თბილისელმა, 47 წლის ტარიელ გომბორიძემ თაღლითური გზით 950 ლარი გამოსძალა ხაშურის რაიონის სოფელ ქვიშხეთში მცხოვრებ 21 წლის დავით ჭანკოტაძეს.

**შსს-ს პრესცენტრი**
**ხათუნა ნოზაძე**

## სპორტის სამყაროში

# კვირას ფორმულა 1-იც იწყება

8 მარტს ავსტრალიაში იხსნება ფორმულა 1-ის 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატი.

როგორც შარშან, ფავორიტები წელსაც მიხაელ შუმახერი და ჟაკ ვილნევი იქნებიან.

ვილნევი ამჟამად მელბურნში იმყოფება, იქ ემზადება. მისთვის შარშანდელი სეზონი უიღბლოდ დაიწყო და სწორედ ავსტრალიის გათამაშებაში მოხდა კურიოზული შემთხვევა. მან რაღაც 500 მეტრი გაიარა და ავტომობილების შეჯახების შედეგად გამოეთიშა პირველობას. ვილნევს დიდი სურვილი აქვს ავსტრალიაში გამარჯვებისა.

უილიამსი ახალი მანქანების გამოყენებას აპირებს ამ სეზონში. ამჟამად მიმდინარეობს მანქანების გამოცდა-ტესტირება. როგორც ტესტებმა უჩვენა, ახალი მანქანა არაფრით ჩამოუვარდება ძველს, უფრო მეტიც, უილიამსის კონსტრუქტორებმა გააუმჯობესეს მანქანის აეროდინამიკური მონაცემები და



გუნდის ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ როგორც შარშან, უილიამსი ყველაზე სწრაფი იქნება ტრასაზე. ტესტებიც ამას ადასტურებენ, მაგრამ რბოლა სულ სხვაა. ამიტომ ყველაფერი 8 მარტს გაირკვევა. თუ რამდენად მზადაა ვილნევი და მისი ახალი ბოლიდი იმისათვის, რომ კანადელმა ჩემპიონობა შეინარჩუნოს.

აღსანიშნავია, რომ ვილნევი თავის კონკურენტად შუმახერის გარდა თავის თანაგუნდელ ფრენცელს მიიჩნევს. რაც შეეხება ფრენცელს, მასაც დიდი ამბიციები აქვს. მან აღნიშნა: ეს ჩემი მეორე წელია ამ გუნდში. ვგრძნობ, რომ მზად ვარ ამისათვის. ამ გუნდში ყოფნით კარგი შანსი მეძლევა მოვიპოვო პირველი ადგილი პირველ რბოლებში და მთლიანად ჩემპიონატში და არ ვაპირებ შანსის ხელიდან გაშვებას.

რა თქმა უნდა უილიამსის გარდა სხვა გუნდებიც აცხადებენ პრეტენზიას პირველ ადგილზე. ალბათ ფერარი, მაკლარენი და ბენეტონი. არ არის გამორიცხული ამ დავაში ეროუსის გუნდით ჩაერიოს. გასული სეზონშიც მათ კარგი შედეგები ჰქონდათ. ხოლო ახლა, როცა ამ გუნდში თავად დეიმონდ ჰილი გამოდის, მათი ამბიციებიც ერთი-ორად იზრდება.

პირველი რბოლა ყოველთვის ნერვიული და მნიშვნელოვანია, ამიტომ პროგნოზების გაკეთება ძალზედ ძნელია. დეიმონ ჰილის თქმით იგი მხოლოდ პოდიუმისათვის იბრძოლებს.

რაც შეეხება შუმახერს და მის გუნდს ფერარის, წელს საიუბილეო წელია. ამ ფირმის დამაარსებელი ენცო ფერარი ცოცხალი რომ ყოფილიყო, 100 წლის იუბილეს გადაიხდიდა. ფერარის პილოტები კარგა ხანია ჩემპიონები არ გამხდარან, ხოლო შუმახერთან ერთად მათ ჩემპიონობის იმედი აქვთ. შარშან გუნდი ახლოს იყო მიზანთან, მაგრამ შუმახერის წყალობით ბოლო ეტაპზე დაკარგა ჩემპიონობა. ეს მხოლოდ მისი ბრალია; ამ სეზონში ფერარის ახალი ბოლიდი ჰყავს ფ-300 და ტესტებიც საკმაოდ კარგ დროს აჩვენებენ. როგორც ჩანს ფერარის „საჯინიბოში" ყველაფერი წინაა. მე ბედნიერი ვარ ახალი ბოლიდით. ამ მანქანის მართვა დიდი სიამოვნებაა და ავსტრალიის გრანპრიზე სიურპრიზსაც შემოგთავაზებთ.

მოკლედ ფერარი შუმახერის წყალობითა და ახალი მეთოდებით ძველი დიდების დაბრუნებას შეეცდება.

## ჯიალი დეშამს თავისთან იხმობს, მაგრამ...

„იუვენტუსის" ფრანგმა ნახევარმცველმა დიდიე დეშამმა უარყო ბოლო ხანს გავრცელებული ხმები, თითქოს იგი ტოვებდა იტალიას და ინგლისში, კერძოდ „ჩელსიში" გადასვლას აპირებდა. დეშამს „იუვესთან" კონტრაქტი 2001 წლამდე აქვს დადებული. ფეხბურთელის განცხადებით მას არავითარი პრობლემები არ აქვს „იუვენტუსში" და არც აპირებს იტალიის დატოვებას და ამ გუნდთან ერთად კიდევ ბევრი გამარჯვებების მოპოვების იმედი აქვს.

## გემოვნება ხომ არ ღალატობთ იტალიელ მანდილოსნებს?

საოცარი შედეგი დაფიქსირდა იტალიური პრესის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად. გამოკითხვაში 589 იტალიელმა მანდილოსანმა მიიღო მონაწილეობა და მათ დაასახელეს იტალიის ლიგაში მოთამაშე ყველაზე სექსუალური ფეხბურთელი; ხმების 27 პროცენტმა „მილანის" ფრანგი ფეხბურთელი იბრაგიმ ბა დაასახელა, რონალდო 17%-ით მეორე ადგილზეა, ხოლო მესამე ადგილი კი ლიბერიელ ჯორჯ ვეას ერგო.

საკვირველია, რომ იტალიელ ქალებში რატომღაც ზანგი ფეხბურთელები უფრო მეტ სიმპათიას იმსახურებენ, ვიდრე ესოდენ პოპულარული რობერტო ბაჯო, მალდინი და კოსტაკურტა.



## მოჭადრაკეებიც არ ისვენებენ

ლინარესში მიმდინარე საჭადრაკო ტურნირზე ლიდერმა ალექსეი შიროვმა პირველი მარცხი იწვნია. იგი შავი ფიგურებით მოთამაშე ვასილი ივანჩუკმა დაამარცხა. ეს ამ ტურნირში ივანჩუკის პირველი გამარჯვებაა. ამ მოგებით უკრაინელმა მოჭადრაკემ რევანში აიღო პირველ წრეში წაგებული პარტიისათვის. ამ დღეს გამართული დანარჩენ ორ პარტიაში საყაიმო ანგარიში დაფიქსირდა.

როგორც ჭადრაკის სპეციალისტები აღნიშნავენ წლევანდელ ტურნირზე ძალიან დიდია ფრეების რაოდენობა და ეს მიუხედავად იმისა, რომ ტურნირის ორგანიზატორი და ესპანელი მეცენატი ლუის რანტერო ცდილობს ყველანაირად აღუდგეს წინ მოვლენათა ამგვარ განვითარებას. მაგრამ როგორც ჩანს ჭადრაკი არ ექვემდებარება ხელოვნურ რეგულირებას. ამის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ჩატარებული 27 პარტიიდან 17 ფრედ დასრულდა და მხოლოდ ათში მიაღწიეს მოწინააღმდეგეებმა მოგებას. დაუმარცხებლად კი ჯერჯერობით კასპაროვი და კრამნიკი ასპარეზობენ. მაგრამ მათ საყაიმო პარტიების ყველაზე დიდი რაოდენობა აქვთ: შესაბამისად ექვსი და შვიდი.

დღეისათვის ტურნირს ერთბაშად სამი მოჭადრაკე ლიდერობს. ანანდმა, კრამნიკმა და შიროვმა 4,5-4,5 ქულა დააგროვეს. ამ სამეულს კვალში უდგას გარი კასპაროვი — 4 ქულა. სვიდლერმა 3,5 ქულა დააგროვა. სატურნირო ცხრილის ბოლოს კი ივანჩუკი და ტოპალოვი იმყოფებიან 3-3 ქულით. მეათე ტურში ერთმანეთს ხვდებიან ტოპალოვი-შიროვი, ივანჩუკი-სვიდლერი და ანანდ-კასპაროვი. ეს შეხვედრა უდიდეს ინტერესს იწვევს. კრამნიკი კი დაისვენებს.

## დონ კინგმა ტაისონთან ერთად ოქროს საათიც დაკარგა

დონ კინგი მონაკო სიტში სულ ცოტა ხნით ჩავიდა და სრულებითაც ვერ წარმოიდგენდა, თუ შეიარაღებული ბანდიტების მსხვერპლი გახდებოდა. მას მოპარეს ოქროს საათი. „ქურდები რომ შემემჩნია, ვერც ერთი ვერ გადარჩებოდა ცოცხალი." — განაცხადა დონ კინგმა. იგი გაძარცვის მომენტში ღამის ბარში იმყოფებოდა ხულიო სეზარ ჩავესთან და მიგელ ანჯელო გონსალესთან ერთად. ამ უკანასკნელებს საათები გასულ სამშაბათს მოპარეს სასტუმროს ახლოს.

კინგის საათი 100 ათასი დოლარი ღირდა, სამაჯური ბრილიანტით იყო მორთული. ჩემთვის მთავარი ეს ნივთი არაა — თქვა დონ კინგმა. ყველაზე მთავარია ადამიანთა სიცოცხლე. მადლობას ვუხდი ქურდებს, რომ ჩემს მეგობრებს არაფერი დაუშავეს და ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა." მიუხედავად მაიკლ ტაისონთან განშორებისა და საათის დაკარგვის გამო იგი შეცბუნებული სულაც არ იყო. მის უცნაურ ვარცხნილობას შიშის კვალი საერთოდ არ ეტყობოდა. როგორც დონ კინგმა განაცხადა, მას ბოლო 30 წლის მანძილზე არასოდეს უგრძნია თავი დაუცველად. „ეს არასასიამოვნო შემთხვევა შეიძლება ქვეყნის ნებისმიერ კუთხეში მომხდარიყო." ოთხშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე ჩავესმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ პრობლემა ადგილზე მოაგვარა და თავისი ჩანაფიქრი განახორციელა, დონ კინგს მან ახალი საათი აჩუქა. ჩავესი საჩუქრის გადაცემის დროს გულიანად ხარხარებდა, რადგან საათი ჩვეულებრივი შავი პლასტმასით იყო დამზადებული.



## პასარელამ, როგორც იქნა, ბატისტუტა ნაკრებში მოიწვია

არგენტინისა და ბულგარეთის ამხანაგური მატჩისადმი მზადება პასარელას ნაკრებმა უკვე დაიწყო. ორივე ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეა და ეს მატჩიც მზადების ერთ-ერთ ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს. ცნობა იმის შესახებ. რომ პასარელომ შესაძლოა ნაკრებში მოიწვიოს იტალიის ჩემპიონატის ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელი გაბრიელ ბატისტუტა, დადასტურდა. მწვრთნელმა უკვე გამოაცხადა ის შემადგენლობა, რომელიც 11 მარტს ითამაშებს.

ესენი არიან: **მეკარეები:** კარლოს ბოხიო და პაბლო კავალერო;

**მცველები:** ხოსე შამოტი, მაურიციო პინედა, გუსტავო ლომბარდი, რობერტო აიალა, ჰელმან დიასი, ედმუნდო ბერიზი;

**ნახევარმცველები:** ხუან სებასტიან ვერონი, როდოლფო კარდოსი, ლეონარდო ასტრადა, მარსელო გალარდო, სერჯიო ბერტი, გუსტავო ზაპატა;

**თავდამსხმელები:** მარსელო დელგადო, გაბრიელ ბატისტუტა, კლაუდიო ლოპესი.

## სხვადასხვა

### მორის გრინმა წელს ასმეტრიანი დისტანცია ყველაზე ჩქარა გაირბინა

ავსტრალიაში მიმდინარე მსუბუქ მძლეოსანთა დიდ შეჯიბრებაზე ჩინებული შედეგი აჩვენა ამერიკელმა სპრინტერმა, მსოფლიოს 1997 წლის ჩემპიონმა,23 წლის მორის გრინმა. მან ასმეტრიანი დისტანცია 9,99 წამში გაირბინა. ეს წელს ნაჩვენებ შედეგთაგან საუკეთესო მაჩვენებელია. ეს შედეგი უფრო მაღალიც შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ სირბილის დროს გრინს სუსტმა პირქარმა შეუშალა ხელი.

წლევანდელი სეზონის რეკორდი დამყარდა ნიუ-იორკშიც, სადაც ამერიკის ზამთრის პირველობაზე ამერიკელმა ტაიშა უოლერმა სიმაღლეზე ხტომაში 201 სანტიმეტრი დასძლია.

### ზიკო ბრაზილიის ნაკრებში იმუშავებს

წარსულში ლეგენდარული ბრაზილიელი ფეხბურთელი ზიკო თავისი ქვეყნის ეროვნული ნაკრების მთავარის მწვრთნელის, მარიო ზაგალოს ასისტენტად იქნა დანიშნული. ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის განცხადებით, 45 წლის ზიკო ნაკრებში ტექნიკური კოორდინატორის ფუნქციებს შეასრულებს.

### „აიაქსმა" ამერიკელი ფეხბურთელი შეიძინა

შოთა არველაძის კლუბმა ამსტერდამის აიაქსმა, რომელმაც ორიოდე დღის წინ სენსაციური მარცხი განიცადა მოსკოვის სპარტაკთან, როგორც ჩანს გადაწყვიტა გააძლიეროს თავისი დაცვითი ხაზი. ამ მიზნით ჰოლანდიურმა კლუბმა ამერიკის შეერთებული შტატების ახალგაზრდული ნაკრების ცენტრალური მცველი, ჯონ ობრაიანი შეიძინა. ამერიკელი ფეხბურთელი ჯერ-ჯერობით აიაქსის მეორე გუნდში თამაშობს და ეგუება ახალ სიტუაციას, მაგრამ ჰოლანდიელთა მწვრთნელი, მლრტენ ოლსენი იმედოვნებს, რომ ობრაიანი ცოტა ხნის შემდეგ მთავარ გუნდშიც შეძლებს წარმატებით თამაშს.

### რეინჯერსს შესაძლოა მეკარის პრობლემა შეექმნას

შოტლანდიის ჩემპიონის, გლაზგო რეინჯერსის მეკარეს, ენდი გორამს თავის კლუბთან ამ სეზონის დასასრულს უმთავრდება კონტრაქტი. როგორც ცნობილია, რეინჯერსში ახალ მწვრთნელს, ჰოლანდიელ დიკ ადვაკაატსაც ელიან. ჯერ-ჯერობით უცნობია, თუ როგორ აეწყობა გორამის და ადვოკაატის ურთიერთობა, თუმცა თავად მეკარის განცხადებით, თუ მას კონტრაქტს ხელსაყრელი პირობებით არ გაუგრძელებენ, იგი დატოვებს კლუბს. ენდი გორამის პერსონით კი ყველაზე სერიოზულად ინგლისური კრისტალ პალასია დაინტერესებული.

გვერდი მოამზადა ზურაბ დავითაიამ

# ვინ დაიცავს ქართლის საზღვრებს?

## თვითმხილველის ნაამბობი

ამას წინათ, ანუ 19 თებერვლის ტერაქტიდან რამდენიმე დღის გასვლის შემდეგ ვლადიკავკაზში მომიხდა წასვლა. თბილისს გაცილებული ჩვენი ავტობუსი (ეს იყო მარშრუტი თბილისი-ცხინვალი), საკმაოდ მრავალრიცხოვანმა „კორდონმა" გააჩერა. ავტობუსში ერთი ახალგაზრდა კაცი ამოვიდა და მგზავრთა საბუთებს დაუწყო სინჯვა. იგი გადაჭარბებულ სიფრთხილესაც (უზრდელობაში გადასულს) კი იჩენდა. მაგალითად, როდესაც შეხედა, რომ ჩემს უკან სკამზე მჯდომ მამაკაცს, რომელიც როგორც შემდეგ გამოირკვა, გორის რაიონის ერთ-ერთ სოფელში საკუთარ სახლში თავის 9-10 წლის ბიჭთან ბრუნდებოდა, პასპორტი არ აღმოაჩნდა, მკაცრად უთხრა:

— შენი ბედი, რომ ბავშვთან ერთად ხარ, თორემ კამერაში ჩაჯდომა არ აგცდებოდა.

თუმცა გაურკვეველი იყო, რაზე უპირებდა ამ პატიოსან გლეხკაცს კამერაში ჩასმას, მაგრამ მისი ასეთი სიფრთხილე (თუ ეს მხოლოდ სიფრთხილე იყო და არა ანგარებით გამოწვეული საქციელი), მაშინ გასაგები იყო; მაშინ თბილისში ჭორები იყო დარხეული, ტერორისტები თბილისში არიანო და თუ ეს ასე იყო, მათ გამოვლენას ხომ მუშაობა უნდოდა.

მაშინ გავიფიქრე, თუ აქ ასეთი სიმკაცრეა, საზღვარზე ხომ ჩიტიც ვერ გადაფრინდება-მეთქი. თქვენც არ მომიკვდეთ.

ამ გზაზე გავლა ადრეც მომიხდა — გასული წლის აგვისტოში. მაშინ მახსოვს, ცხინვალის სიახლოვეს ქართველები იდგნენ და გამვლელ-გამომვლელთა საბუთებს ამოწმებდნენ. ალბათ ისინი ფულის მოკრეფის მეტს (ძირითადად საკუთარი ჯიბისთვის და არა სახელმწიფო ბიუჯეტისთვის) არაფერს აკეთებდნენ, მაგრამ აქ გამვლელს ერთგვარი რიდი ხომ მაინც ჰქონდა; ქურდი და მამაძაღლი, მით უმეტეს ტერორისტი ასე უბრალოდ ვერ გაივლიდა. ახლა ეს პოსტი მოხსნილი დამხვდა. სამაგიეროდ, ცხინვალის შესასვლელთან აქვთ ოსებს პოსტი გამართული და კმაყოფილნიც არიან. აჩერებენ ქალაქში შემავალ ყველა მანქანას, სთხოვენ საბუთებს და თუ ქართველი აღმოჩნდი, ფულს გძალავენ. ჯერჯერობით მათი „ტაქსა" 25 ათასი ძველი რუსული რუბლია. (1 ლარის კურსია 4500 ძველი რუსული რუბლი). ასეთივე პოსტი აქვთ ოსებს, როდესაც ცხინვალს გასცდები. „ტაქსა" აქაც იგივეა — 25 ათასი ძველი რუსული რუბლი — არც მეტი და არც ნაკლები. თან ზოგჯერ შეიძლება რაღაც ქაღალდიც, ქვითარი გამოგიწერონ.



მაგრამ უმთავრესი საზღვარი მაინც როკის გვირაბს იქითაა. როკს იქით მიმავალი ქართველისათვის გავლის ფასიც გაცილებით მეტია. მხოლოდ ქართველებისათვის, ვინაიდან როკს იქით ისინი უცხო ქვეყნის მოქალაქეებად ითვლებიან (სხვა ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქისათვის ასეთი გადასახადი იქ არ არსებობს), როკის გავლა 50 ათასი ძველი რუსული რუბლი ღირს.

ყველაზე მეტად დამაფიქრა იმან, რომ როკს იქით არცერთი ქართველი მესაზღვრე არ დგას და პირდაპირ რუს მესაზღვრეთა კორდონს აწყდები კაცი.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, რასაც ყურადღებას მიაქცევს ამ გზაზე მიმავალი ადამიანი, ეს არის უკვე ყბადაღებული სპირტის მანქანები. გასული წლის აგვისტოს შემდეგ მათი რაოდენობა საგრძნობლად არის შემცირებული. ის მანქანებიც, რომლებიც აქ დგანან, როკის გვირაბში შესულან და აქ ელოდებიან თავიანთ შემდგომ ბედს. მათი გვირაბში შესვლა ბევრ უხერხულობას ჰქმნის, კერძოდ, მათი მიზეზით იქმნება „პრობკები", რომელთა განტვირთვას ზოგჯერ საათები სჭირდება, და ა. შ.

დანარჩენი მანქანებიდან სპირტმა, როგორც ჩანს, მაინც მიაგნო თავის მომხმარებელს რუსეთში. ერთი ეგაა, რომ ამ მანქანების გაჩერებით და მათთვის პრობლემების შექმნით საბაჟო სამსახურებმაც იხეირეს და ფული იშოვნეს. მოკლედ, „წილში ჩაუდგნენ" სპირტის კომერსანტებს. რუსი მომხმარებელი კი, როგორც სვამდა, ისევე სვამს ამ სპირტის ბაზაზე დამზადებულ ნაირ-ნაირ სასმელებს, რომელთაც მხოლოდ ეტიკეტი აქვს განსხვავებული. ვლადიკავკასში, ერთ-ერთ კაფეში სადილობისას, როდესაც დავინტერესდი იმით, რომ აღწევს თუ არა მათამდე, როგორც უწინ, ქართული ღვინოები, ერთი „ხვანჭკარა" მაჩვენეს და მითხრეს:

— აი, ასეთი ღვინო მოგვიტანეს აქაურმა ბიზნესმენებმა, მაგრამ ვისაც არ მივუტანეთ ჩვენთან მოსადილეს, ხელი არავინ არ დააკარა, რადგან ნათლად ჩანს, რომ ხვანჭკარის არაფერი სცხია და სპირტისა და ჭარხლის წვენიდან არისო დამზადებული.

საზღვრის სიახლოვეს აქა-იქ დასახლებული ოსთა ეზოები სპირტის კომერსანტებს ამ პროდუქციის საწყობებად გადაუქცევიათ. მოჩანს სპირტის ცისფერი ბალონების გორები. მათ სწორი გადაწყვეტილებაც მიუღიათ: როგორც ერთი თანამგზავრი მძღოლი ჰყვებოდა, იგი 17 დღე მდგარა გვირაბში სპირტით დატვირთული მანქანით. კომერსანტები დღე-ღამეში 100 დოლარს შეჰპირებიან. ნაწილი მომცეს და ნაწილი დღესაც მოსაცემი აქვთო — წყრებოდა იგი.

თითქმის ყველა იმ ეზოსთან, რომლებიც სპირტის საწყობებად არის გადაქცეული, გამოკრულია აბრა: „იყიდება სპირტი". როგორც იმავე მძღოლმა თქვა აქ სპირტის ფასი 1 დოლარიდან დოლარი და 3- ცენტამდე მერყეობს.

ავტობუსი (როგორც აქედან იქით, ისე უკან დაბრუნების დროსაც), ძირითადად ნახევრად ოსი, ნახევრად ქართველი მგზავრებით იყო სავსე. (ბილეთის ფასი თბილისიდან ვლადიკავკაზამდე 20 ლარის ფარგლებში მერყეობს) თითქმის ყველა ისინი წუხდნენ, რომ ქართველებს და ოსებს შორის ასეთი ტრაგედია მოხდა და რომ საუკუნეების მანძილზე კეთილმეზობლობის ტრადიციები დაირღვა. ავტობუსში ერთი მგზავრი ისეთიც იყო, რომელიც ოსზე გათხოვილა, მისგან ორი შვილი ჰყავს. ქართველებსა და ოსებს შორის არეულობის დროს ქმარმა პრინციპულად დაუყენა საკითხი: ან მას და შვილებს გაჰყვებოდა და ვლადიკავკასში გადასახლდებოდა, ანდა სამუდამოდ დაემშვიდობებოდა როგორც ქმარს, ასევე შვილებს. ახლა იგი ვლადიკავკასში ცხოვრობს, ოსურს სწავლობს და არც თუ ისე ცუდად გრძნობს თავს ოსთა გარემოცვაში.

*ამბროსი გრიშიკაშვილი*

# ახალი ამბები

### გარკვეული ნაწილი მოლაპარაკების წინააღმდეგია

*05/03/98(გეა) /თამარ ხონელიძე/* საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალმა მაგიდამ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა განცხადება, რომლის თანახმადაც „ფაქტობრივი უკანონო ხელისუფლების უმთავრეს საზრუნავს ლეგიტიმაცია წარმოადგენს, რისი უშედეგო მცდელობები იყო 1992 წლის 11 ოქტომბრისა და 1995 წლის 5 ნოემბრის ფსევდოარჩევნები.

მრგვალი მაგიდის წევრები თვლიან, რომ დასახული გეგმის განსახორციელებლად მარიონეტულმა რეჟიმმა რამდენიმე სპექტაკლი გაითამაშა. მაგალითად, 1992 წლის 24 ივნისის ე.წ. ტელევიზიის აქცია, 1992-93 წლების ომი-გარიგება აფხაზეთში, პროვოკაცია ყვარლის ტყეში, 29 აგვისტოს ე.წ. ტერორისტული აქტი, არაფრისმომცემი პლებისციტი აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობაში და 9-19 თებერვლის ე.წ. ტერორისტული აქტები.

„9-19 თებერვლის სპექტაკლები მიზნად ისახავს უკანონო ხელისუფლებასთან ალიანსში მყოფი კანონიერი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლისა და ფსევდოეროვნული ძალების გაერთიანების დაფიქსირებას ერთობლივი არჩევნების დანიშვნა-ჩატარების მიზნით. ამ მიმართულების რეალიზაციის საწყის ეტაპს წარმოადგენს კანონიერი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის (იგულისხმება ნემო ბურჭულაძე) შეხვედრა უკანონო ხელისუფლების უმაღლეს იერარქთან, რაც ადასტურებს მათ შესაძლო კავშირს 9-19 თებერვლის ორგანიზატორ-განმახორციელებლებთან - თვლიან განცხადების ავტორნი. ამასთან, მათი თქმით, კანონიერი უზენაესი საბჭოს თითოეული დეპუტატი ემორჩილება უზენაესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებას და არა აქვს უფლება საკუთარი ინიციატივით აწარმოოს მოლაპარაკება უკანონო ხელისუფლებასთან. „წინააღმდეგ შემთხვევაში მრგვალი მაგიდა იტოვებს უფლებას მიმართოს კანონმდებლობით მინიჭებულ უკიდურეს ზომებს - ნათქვამია განცხადებაში.

### ნებისმიერი ძალადობა მიუღებელია

*05/03/98(გეა) /თამარ ხონელიძე/* სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების გამგეობის წევრი ზაზა დავითაია არ გამორიცხავს, რომ 19 თებერვალს ჯიხაშკარში მომხდარი ტერაქტის მონაწილეთა უმრავლესობა გაუცნობიერებლად მოქმედებდა და გარკვეული ძალების ხელში ბრმა იარაღი აღმოჩნდა.

რაც შეეხება თავად ტერაქტს, ზაზა დავითაია კანონიერი ხელისუფლების სახელით აცხადებს, რომ ნებისმიერი ძალადობა მხოლოდ უარყოფითად უნდა შეფასდეს.

### სასამართლოს დღევანდელ სხდომაზე

*05/03/98(გეა) /საშა ჩიხრაძე/* დღეს 1995 წლის 29 აგვისტოს ტერაქტთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესზე გაგრძელდა რუსთავის „მაშველთა კორპუსის" წევრის, ამჟამად განსასჯელის, ლევან მაძღარაშვილის დაკითხვა, რომელსაც ბრალი ედება ედპ-ის ლიდერის, გიორგი ჭანტურიას მკვლელობაში და სხვა მძიმე დანაშაულებებში.

პროცესზე ასევე ნაჩვენები იქნა განსასჯელების ნიკოლოზ გედევანიშვილისა და პავლე ბუხრიკიძის ვიდეოფირზე გადაღებული ჩვენებები. მათ განაცხადეს, რომ ეს ჩვენებები, ისევე, როგორც სხვა დანარჩენი ჩვენებები, რომლებიც მათი დაკითხვის დროს იქნა გამოქვეყნებული, სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან არაკანონიერი მეთოდებით იქნა მიღებული.

**SOS!**

# 22 მარტამდე მიიღეთ კუთვნილი მიწა!

საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 10 მარტის №290 დადგენილებით და საქართველოს პარლამენტის მიერ 1996 წლის 22 მარტს მიღებული კანონით „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" საქართველოს მოქალაქეებს კანონის მიღებიდან ერთი წლის განმავლობაში საკუთრებაში უსასყიდლოდ უნდა გადასცემოდათ მიწის ნაკვეთები.

ამ რთული, შრომატევადი და უაღრესად მნიშვნელოვანი საქმის დადგენილ ვადაში განხორციელება ვერ მოესწრო. ამიტომაც კანონის შესაბამისად მოქალაქეთათვის მიწების საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის დამთავრების თარიღი სამართლიანად გადასწიეს ერთი წლით, 1998 წლის 22 მარტამდე. ეს ვადაც მოახლოვდა.

ამ დროისათვის, სხვადასხვა მიზეზის გამო (შესასრულებელი სამუშაოების დიდი მოცულობა, მოსახლეობის სათანადოდ არაინფორმირებულობა, მიწის გამცემთა მხრიდან შეფერხებები, სადაო სიტუაციები და სხვა) მიწის მიღების მსურველ საქართველოს ათასობით მოქალაქეს არა აქვს მიღებული კუთვნილი მიწა. ამა წლის 22 მარტამდე მიწის მიუღებლობის შემთხვევაში ისინი კარგავენ ამ უფლებას.

ამავე დროს, როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, საქართველოს მოქალაქეთა უფრო მეტ ნაწილს არა თუ დამატებით მიღებული, არამედ ადრე მათ საკუთრებაში არსებული საკარმიდამო მიწის ნაკვეთებიც არა აქვთ სათანადოდ გაფორმებული (დოკუმენტურად მიღებული).

ამ პროცედურის 1998 წლის 22 მარტამდე შეუსრულებლობის შემთხვევაში, ისინი თავიანთ, მეტ შემთხვევაში მამაპაპეულ საკარმიდამო მიწებზე საკუთრების უფლებას დაკარგავენ და ამ მიწების მოიჯარეებად გადაიქცევიან.

ზემოთაღნიშნულის განხორციელება უსამართლობა და საქართველოს ისედაც გაღატაკებული მოქალაქეების გაძარცვა იქნება.

ვთვლით რა, რომ ამ პროცესის, ქვეყნის ინტერესების შესაბამისად დამთავრება 1998 წლის 22 მარტამდე ამჯერადაც ვერ მოესწრება, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოქალაქეებისათვის მიწების გადაცემისა და სათანადოდ გაფორმების ვადის გადაწევა.

# საქართველოს მთიელთა კავშირის განცხადება

საქართველოს მთიელთა კავშირს გახსნილი აქვს ანგარიში გაერთიანებული ქართული ბანკის თბილისის რეგიონალურ ფილიალში. კავშირის ანგარიშზე არ ირიცხება თანხა, არა გვაქვს აღებული სესხი და არა გვაქვს დავალიანება.

*საქართველოს მთიელთა კავშირის გამგეობა*

# საზღვრები

1905 წელი მხოლოდ მხატვართა ჯგუფ „ხიდის"დაარსებით არ არის მნიშვნელოვანი. ეს წელი არის დასაწყისი საოცრად თავისებური და ამავე დროს ინტერნაციონალური ხასიათის მე-20 საუკუნის გერმანული ხე-



ემილ ნოლდე (1867-1956)

ლოვნებისა. ეს იყო მთავარი იმ ჩრდილოგერმანული სივრციდან ამოსული სამი მხატვრისათვის, რომლებიც თავიანთ შემოქმედებით გზას ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ავითარებდნენ. მათ ჰქონდათ საოცრად ძლიერად გრძნობაგამახვილებული შეგრძნება ბუნებისა. ისინი ახდენდნენ ბუნების ექსპრესიულ ინტერპრეტაციებს საკუთარ სურათებში, მათმა შემოქმედებამ დიდი როლი ითამაშა იმ მიზნის მიღწევაში, რომლისკენაც დიდი ხნის განმავლობაში მიისწრაფვოდნენ. ეს სამი მხატვარი იყო: პაულა მოდერსონ-ბეკერი, ქრისტიან როლფსი და ემილ ნოლდე.

1899 წელს პაულა მოდერსონ-ბეკერი მიდის ვორპსვედეში, რომელიც იყო გერმანიაში წარმოშობილი ე. წ. ხელოვანთა კოლონია, რომლის მხატვრები მოძრაობდნენ „დიდი ქალაქის" მხატვრული განახლებისათვის ბუნებაზე შეხედულებათა შესაბამისად. ის აქ შეხვდა ჰაინრიხ ფოგელერსა და რაინერ მარია რილკეს. აქ გაიცნო მან მხატვარი ოტო მოდერსონი — მისი მომავალი ქმარი. მალე ის მიემგზავრება პარიზში აქტუალური ფრანგული ხელოვნების მხატვართა ნამუშევრების გამოფენის სანახავად. 1905 წელს ის ათვალიერებს სეზანის, გოგენის და მთელ მხატვართა ჯგუფის Pont-aven-იდან გამოფენას. ის თითქოს ამ მხატვართა გამოცდილებიდან ამოდის, მაგრამ ის, რაც მას თავის სურათებში გადააქვს, მასში გადამწყვეტ გარღვევას ახდენს: ფიგურები სიბრტყობრივად გამარტივებულია, ფერადოვანება გაძლიერებულია, დეკორი კი ნაზი, როგორც უძველეს გაფორმებებში.

მისი ქორწინება მოდერსონთან არ იყო ბედნიერი და პარიზში მესამედ გამგზავრების წინ ის შორდება ქმარს. 1906 წელს ის მიემგზავრება პარიზში, სადაც ათვალიერებს „გარეულთა" სურათებს. შინაგანი და გარე ბრძოლებით გამოწვეული სირთულეების გამო, ის 1907 წელს დაბრუნდა ვორპსვედეში, სადაც ამავე წლის ნოემბერში, ქალიშვილის დაბადებიდან რამდენიმე დღის შემდეგ 31 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ქრისტიან როლფსი, ეს მაგარსისხლიანი ჩრდილოგერმანელი, გვიან გამოჩნდა თავისი შემოქმედებით. ის თითქმის 50 წლის იყო, როცა მან 1897 წელს ვაიმარში პირველად ნახა იმპრესიონისტების სურათები. 1900 წელს ვაიმარის ხელოვნების სკოლის დირექტორი, არქიტექტორი ჰენრი ვან დე ველდე აკავ-

შირებს მას ერნსტ ოსტჰაუზთან, რომელიც მას ჰაგენის მუზეუმში იწვევს. აქ ოსტჰაუზის გარემოცვაში, ის ეცნობა ნეოექსპრესიონისტების სურათებს. ის იმდენად მომზადებულია, რომ აქამდელი გამოცდილება გვერდზე გადადო, რადგან სურდა რაღაც ახალზე დამკვიდრებულიყო, მაგრამ საკუთარი მიმართულება (ხერხი) ჯერ კიდევ არ ჰქონდა ნაპოვნი. გადამწყვეტ იმპულს ის იღებს რამდენიმე წლით გვიან. მასზე დიდ გავლენას ახდენს ედვარდ მუნში, რომელსაც ის 1904 წელს ვაიმარში ხვდება. 1906 წლის დასაწყისში ოსტჰაუზის დახმარებით ხვდება ემილ ნოლდეს, რომელიც იმ დროს გარდამტეხი განვითარების ფაზაში იყო. ერთი ზაფხულით გვიან ისინი ერთმანეთის გვერდით მუშაობენ და უკვე 1905 წელს როლფსმა დახატა. იმ მაინსპირებელ გარემოში, რომელშიც ის ცხოვრობდა, აგრეთვე მუნშთან შეხვედრის შემდეგ, ის უკვე თავის თავში დაჯერებულია, რომ თავისი შემოქმედებითი გზა სიახლემდე მიჰყავს. ამ დროს დაახლოებით 60 წლის როლფსი თავის თავს „ხიდის" მხატვრებთან სულით მონათესავედ თვლის. სურათები, როგორიცაა მისი „ამაზონი" (1912), ანდა „წინასწარმეტყველი" (1917) არიან ახალი გამოსვლის მაჩვენებელნი.

ემილ ნოლდემ გერმანულ ექსპრესიონიზმს თავისი საკუთარი ტონი, საკუთარი ხმა, უმაღლესი ზესვლა შესძინა. იგი ექსპრესიონიზმს ამდიდრებს ლეგენდარულობით, ბუნების მითოსის აზრითა და მოქმედებით. ლეგენდარულს ეჯახებოდა ის ყველგან ბუნებაში, ზღვის ტალღის ცემის დაკვირვებაში, გიორგინებისა და მზესუმზირების ჭვრეტისას, ღრუბელთა თამაშში ან რუსი გლეხების სახეებში, კუნძულ ალზენის ჩრდილოეთში თუ სოფელში დასავლეთ შლეზვინგში, თავის მოგზაურობაში სამხრეთის ზღვაზე, ახალ გვინეაში, ბირმაში, ფილიპინებზე. ლეგენდარულის ხმა ესმოდა ნოლდეს არა მხოლოდ ბუნების დაკვირვების დროს, არამედ ბიბლიურ მოტივებშიც.

ლეგენდარულობა, რომელიც ნოლდეს ექსპრესიონიზმისათვის მოჰყავდა, სხვა არაფერია, თუ არა მისი ფერადოვნება. ეს არის განსაკუთრებით მანათობელი, ამაღლებული ფერი, რომელსაც მისი „ლეგენდარული" ქმნის. ლეგენდა დევს თვით ფერებში. სხვასთან არავისთან ექსპრესიონისტებიდან არ არის ფერები ასე შემაძრწუნებლად ცხელი, თითქოს იწვის ფერები და ცეცხლი უკიდია. ანდრე დრაიანთან ფერითა წრე ფერადოვან აფეთქებამდე არის მისული. ნოლდესთვის „აფეთქების" აზრი არც მთლად შესაფერისია. რითაც მისი ფერადოვნება განსხვავდება, ეს არის ბევრად უფრო ინტენსიური, ხანგრძლივი ვარვარი,



ზარის რეკვა

რომელიც მით უფრო მზარდი ჩანს, რაც უფრო დიდხანს დგას მნახველი მისი სურათების წინ. თითქოს ძნელი ხდება ეს სიცხე შეაჩერო.

თუ მაგალითად კირხნერთან და ჰეკელთან შესაბამისობა უნდა ყოფილიყო სურათის აგებულებასა და ფერადოვნებასთან, ნოლდე ამოდის ფერადოვანი გამოხატვის ძალიდან. მიუხედავად იმისა, რომ მასთან ჰარმონიულობა დაუდევარი და ზერელეა, შეიძლება შმიდტ-როტლუფი თავისი ლანდშაფტებით უფრო ახლობელი იყო მისთვის. ოტო მულერი კი შორეული. იქ სადაც მულერი თავის წარმოდგენების გამოხატვაში სენტიმენტალურ-ნოსტალგიურია, ნოლდე რჩება სიცოცხლის უნარიანობით მიმზიდველი. არა, ნოლდე არის ის, ვინც სავსებით გონივრულად გაიაზრებს ბუნებას, არამედ თვით ბუნებაა ის, რომელიც მხატვართან მიდის იმიტომ, რომ შეცნობილი გახდეს.

ნოლდეს ფერები, რომელიც მისი ერთ-ერთი საოცრებაა, მთლიანად გამომდინარე-



პაულა თავის მეუღლესთან და ჰაინრიხ ფოგელერთან ვესტფალენისკენ მიემგზავრება

ობს ბუნების ხედვიდან, გამოდის ღიად, რაშიმე დამალვის გარეშე. და რასაკვირველია, ისმის კითხვა, სად დევს ბუნებაში ეს ფერები? სხვა რა არიან ისინი, თუ არა ხელოვანის ფსიქიკური პროექცია, როგორც პროექცია ექსტაზური მგრძნობელობისა? შეიძლება ჩვენ ახლოს მივიდეთ ჭეშმარიტებასთან თუ ჩვენ მას, როგორც შედეგს ცვალებადი პროცესებისა შთაბეჭდილებიდან და გამოხატვიდან, იმპრესიიდან და ექსპრესიიდან, როგორც რეზულტატს ნოლდეს განსაკუთრებული განცდებისას, რომლებითაც ის ბუნებაზე რეაგირებულთა, განვიხილავთ. ხატვის დროს სურათებში თავაშვებულ, წრეგადასულ გამოხატულებად გადაიქცეოდა.

ფერთა გამოხატვის ძალა, რომელსაც ნოლდე 1908-1910 წლებში აღწევდა და რომელიც ზოგს სპეციფიკურ გერმანულად ეჩვენება, არ ექნებოდა თანამედროვე ფრანგული მხატვრობის ცოდნის გარეშე განვითარება. 1899-1900 წლებში ის სწავლობდა პარიზში, 1906 წელს ღრმად იყო დაკავშირებული კარლ ერნს ოსტჰაუზის წრესთან. ამ დროსვე ხვდება ის ედვარდ მუნშს.

ნოლდემ თავად კარგად იცოდა ეს დამოკიდებულება და არ უარყოფდა მას. ერთ-ერთ წერილში როზა შაპირუსთან 1908 წელს წერდა: „დიდი, მართლაც მნიშვნელოვანი ბრძოლები საფრანგეთშია მომხადრი. დიდი ფრანგები: მანე, სეზანი, ვან გოგი, გოგენი, სინიაკი იყვნენ ყინულმჭრელები. ფრანგებმა გამორიცხეს ზემოქმედების ყველა ძველი ელემენტები და მხოლოდ ასეა შესაძლებელი ხელოვნების შექმნა, რომელსაც ძველი დიდი ხელოვნების გვერდით წარმოჩინება შეუძლია..."

ნოლდეს განვითარებაში დიდი როლი ითამაშეს ვან გოგის, გოგენის, ენსორის, მუნშის ნამუშევრებმა. ამ გზით განვითარებას ის მიჰყავს „ხიდის" მხატვრებთან ახლოს. ისინი ნოლდეს 1906 წელს იწვევენ, მათ გაერთიანებაში შესასვლელად. ის იღებს ამ მიწვევას და უკვე ზაფხულში მას აკითხავს შმიდტ-როტლუფი, და სთხოვს მასთან ერთად კუნძულ ალზენზე წასვლას. ზამთარს ნოლდე ატარებს დრეზდენში მათთან ახლოს. მაგრამ უკვე 1907 წელს გამოდის ჯგუფ „ხიდიდან".

**ნათია ბახტაძე**
**ხელოვნებათმცოდნე**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. გაზ. „საქართველო" №13

# ახალი ამბები

### ქართველ და აფხაზ მეომართა გადასვენება ერთდროულად დაიწყება

06/03/98(გეა) /ვიკა ქავჟარაძე/ ბაბუშერას აეროპორტიდან ქართველ მეომართა გადმოსვენება და აფხაზ მეომართა გადასვენება გულრიფშის, ოჩამჩირის რაიონებიდან და გუმისთიდან ერთდროულად დაიწყება. შეთანხება ამასთან დაკავშირებით დღეს იქნა მიღწეული გადმოსვენების სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის, ავთანდილ იოსელიანისა და აფხაზეთის სახელმწიფო უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილის, სერგეი ცარგუშის შეხვედრაზე.

როგორც გეა-ს კორესპონდენტთან საუბრისას სერგეი ცარგუშმა განაცხადა, ბაბუშერას აეროპორტიდან ქართველ მეომართა გადმოსვენების პროცესი, რომელიც გასულ წელს დაიწყო, აუცილებლად უნდა დასრულდეს. მისი თქმით, ქართული და აფხაზური კომისიები ერთდროულად ეძებენ აფხაზ მეომართა საფლავებს, რაც მომავალშიც გაგრძელდება. ავთანდილ იოსელიანმა დღევანდელ შეხვედრაზე ცარგუშს დახმარება სთხოვა ზაზა დემეტრაშვილის საფლავის მოძებნაში. დემეტრაშვილი სოხუმთან, რკინიგზის სადგურთან ახლოს დაილუპა.

ბაბუშერადან გასულ წელს სულ 44 ნეშტი გადმოასვენეს.

### შესაძლოა ტყვეების გაცვლა მოხდეს

06/03/98(გეა) /ვიკა ქავჟარაძე/ ტყვეთა გაცვლის პროცესის საკითხი განიხილეს დღეს გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში ავთანდილ იოსელიანისა და სერგეი ცარგუშის შეხვედრაზე. ცარგუშმა ავთანდილ იოსელიანს 4 აფხაზის გადაცემა სთხოვა, რომლებიც, როგორც ცარგუშმა გეა-ს კორესპონდენტს განუცხადა, ქართულ მხარეს უკანონოდ ჰყავს დაკავებული. ეს აფხაზები არიან: ვლადიმერ ბალათელია, 5 შვილის მამა, ორი ძმა კაიტამბა ვახტანგი და ვიტალი და წულუკია.

თავის მხრივ, ქართულმა მხარემ აფხაზურ მხარეს აფხაზეთში ტყვედ მყოფი კოკოსკირიას და დარსალიას განთავისუფლება სთხოვა. კოკოსკირიას და დარსალიას 7 წლით პატიმრობა აქვთ მისჯილი საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისა და იარაღის შენახვისათვის. ცარგუშის თქმით, აფხაზეთის პროკურორი ანრი ჯერგენია კოკოსკირიას და დარსალიას რეაბილიტირებას დაჰპირდა. ცარგუშმა იმედი გამოთქვა, რომ მათი საკითხი დადებითად გადაწყდება.

რაც შეეხება აფხაზეთში 3 წლის მანძილზე ტყვედ მყოფ ოჩამჩირის ბატალიონის მეთაურს, რუზგენ გოგოხიას, როგორც ცარგუშმა გეა-ს კორესპონდენტს განუცხადა, ეს საკითხი სხვა ხარისხისა და შინაარსისაა და მისი გადაცემის საკითხი ჯერჯერობით დღის წესრიგში არ დგას.

### ტერორისტები აფხაზეთის ტერიტორიაზე არ არიან - აცხადებს ცარგუში

06/03/98(გეა) /ვიკა ქავჟარაძე/ „ის პირები, ვინც 9 თებერვალს განახორციელეს ტერაქტი და 19 თებერვალს მძევლები აიყვანეს, აფხაზეთის ტერიტორიაზე არ იმყოფებიან - განაცხადა გეა-ს კორესპონდენტთან საუბრისას სერგეი ცარგუშმა.

ცარგუშის თქმით, აფხაზეთის მხარე არ დაუშვებს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ისეირნონ მათ, ვინც ტერაქტებს აწყობს. „აფხაზებს ეს არც ადრე უნდოდათ და არც ახლა სურთ - აღნიშნა მან. ცარგუშის თქმით, ასეთი ჭორებსავრცელებენ განგებ, პროვოკაციის მიზნით. მისი თქმით, ერთადერთი, ვინც აფხაზეთის საზღვარს „აწუხებს, ეს „პარტიზანები არიან. და ისინიც დივერსიული აქტების მოსაწყობად გადადიან. „აფხაზეთის მხარე, მთელი მსოფლიო და ყველა ნორმალურად მოაზროვნე ადამიანი გმობს 9 და 19 თებერვლის ტერაქტებს - განაცხადა ცარგუშმა.

მარტის თვეში, ცარგუშის ინფორმაციით, საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე ძირითადი საკითხი ტერორიზმის აღმოფხვრის პრობლემა იქნება. „თუ ქართული და აფხაზური მხარეები პატიოსნად და კეთილსინდისიერად იმუშავებენ, აუცილებლად დაამარცხებენ ტერორიზმს - თქვა ცარგუშმა.

# განათლების სამინისტროში განსაკუთრებულად აფასებენ რუსულ ენას!

თურმე, ნუ იტყვით, სოფლის სკოლებში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს ხელფასის გარდა 15 პროცენტიან დანამატსაც უხდიან.

ჩვენ შევეცადეთ გაგვერკვია, თუ ამდენ ხანს რატომ არ მიაქციეს ყურადღება ამ საქმეს და გავესაუბრეთ განათლების სამინისტროს საშუალო სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილეს, ბატონ რობერტ გურგენიძეს, თუმცა მან პირდაპირი პასუხის გაცემა ვერ შეძლო, მაგრამ მისმა თანამშრომელმა, მთავარმა სპეციალისტმა ეკონომიკის დარგში, დარეჯან ბერიძემ გაგვარკვია საქმის არსში. 1994 წლიდან 15 პროცენტიანი დანამატი გადავიდა კოეფიციენტებზე, რომელიც იანგარიშებოდა მინიმალური ხელფასის დონიდან, რაც 1 ლარ და 30 თეთრიდან — 1 ლარ და 48 თეთრამდე მერყეობსო. რაც შეეხება არარუსულ სკოლებში უცხო ენის მასწავლებლების ხელფასს, დღემდე მათ თურმე 15 პროცენტი დანამატი კვლავაც ეძლევათ.

საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ საშუალო განათლების სამმართველოს უფროსის მოადგილემ ეს ან არ იცოდა, ან კიდევ არავითარი ყურადღება არ მიაქცია ამ საქმეს.

იქნებ, დროა საბოლოოდ ამოვძირკვოთ და ბოლო მოვუღოთ კომუნისტურ გადმონაშთებს.

ბატონი რობერტ გურგენიძე კი ალბათ ეცდება, უფრო მეტი ყურადღებით მოეკიდოს საშუალო განათლების საქმეს.

**შორენა ძვრივიშვილი**

**რედაქციისაგან:** რუსული ენის მასწავლებელთა მიმართ არავითარი პრეტენზია არ გვაქვს. ამ შეჭირვების ჟამს ის დანამატი ხელფასზე, რასაც მათ უხდიან, მასწავლებლის ბიუჯეტს ცოტათი მაინც ეხიდება ალბათ და როგორც იტყვიან, ღმერთმა შეარგოთ. უბრალოდ, ჩვენ იმისი მომხრე ვართ, რომ რუსული ენის სპეციალისტთა გარდა სხვა დარგის სპეციალისტების შრომაც შეფასდეს და შეღავათებიც თანაბრად გავრცელდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ის, რაც გაზეთში არ დაიბეჭდა

**ამა წლის** 6 თებერვლის ნომერში გაზეთ „სიტყვა ქართულში" დაიბეჭდა ჩემი სტატია „მითი და სინამდვილე", რომელიც ეხება ჩვენში ფრიად აღიარებულ ისტორიკოსს გიორგი მელიქიშვილს. რასაკვირველია, მე დიდად მადლიერი ვარ აღნიშნული გაზეთის რედაქციისა და განსაკუთრებით რედაქტორის ბატონ ხუტა ბერულავასი, რომელნიც არ მოერიდნენ „დიდი მეცნიერის" უზარმაზარ იმიჯს. მაგრამ ამასთანავე ჩემეული ტექსტიდან ამოიღეს რიგი ადგილებისა, ასე რომ, სტატია დაიბეჭდა კუპიურებით. (თვით სათაური ასეთი მქონდა: „როცა მეფე შიშველია ანუ მითი და სინამდვილე ერთი აღიარებული მეცნიერის შესახებ").

მკითხველებს მინდა გავაცნო გამოტოვებული ადგილები. ჩემს სტატიაში ვწერდი გიორგი მელიქიშვილის მიერ 1980 წელს გამოცემულ ნაშრომზე „საქართველოს ისტორია. საკითხავი წიგნი", სადაც იგი ვითარცა შემდგენელ-რედაქტორი მიეტმასნა ჩვენს გამოჩენილ ისტორიკოსებს — ივანე ჯავახიშვილს, ნიკო ბერძენიშვილსა და სიმონ ჯანაშიას, რისი არა მარტო მორალური, არამედ იურიდიული უფლებაც მას, ცხადია, არ ჰქონდა. უფრო მეტსაც მოგახსენებთ, გ. მელიქიშვილმა თხრობა მოატანინა (განსვენებულ პროფ. იური კაჭარავას) თითქმის წიგნის გამოცემის წლამდე, რითაც დიდად შეირყვნა 1943 წელს გამოცემული საქართველოს ისტორიის ნამდვილად დიდებული სახელმძღვანელო. რასაკვირველია, ამ მონაკვეთში დითირამბულადაა წარმოჩენილი ედუარდ შევარდნაძის ცეკას პირველმდივნობის ხანა (1972 წლიდან მოყოლებული 1978 წლის ჩათვლით, როცა იგი სკკპ ცეკას პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად იქნა არჩეული). ამგვარი საქციელით, რა თქმა უნდა, გ. მელიქიშვილი შეეცადა ეამებინა საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლებისათვის. შემდეგში, 1990 წელს „საქართველოს ისტორიის საკითხავი წიგნი" ორჯერ გამოვიდა უზარმაზარი ტირაჟებით. რაკი იმხანად პოლიტიკური სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა და კვლავაც იცვლებოდა, რედაქტორ-შემდგენელმა წიგნიდან ამოიღო XX საუკუნის, მათ შორის ედუარდ შევარდნაძის, შესახები თხრობა და ამით ამჯერად რევერანსი გაუკეთა ახალ და მომავალ ხელისუფლებას.

სტატიიდან ამოღებულ იქნა შემდეგი ადგილიც: „შევნიშნავთ რომ გ. მელიქიშვილს კარგა ხანია შემუშავებული აქვს ერთი „მეთოდი", რომელიც ჯერ პრაქტიკულად სტუდენტობის ხანაში გამოიყენა. მოგახსენებთ ამის თაობაზე. ერთ-ერთ საზეიმო პარადზე გამოსვლისას მას შეაჩეჩეს რომელიღაც ბელადის (ვგონებ ჟდანოვის) პორტრეტი. აი როგორ განთავისუფლდა გ. მელიქიშვილი ამ „ტვირთისაგან". ჯერ ამხანაგს გამოართვა პორტრეტი თუ დროშა, შემდეგ კი ჯგუფის ხელმძღვანელს შესჩივლა ორი „ტვირთის" გამო. ამ უკანასკნელმა ერთი გადააცემინა სხვა სტუდენტს და ამრიგად გ. მელიქიშვილს დარჩა ერთი, რომელიც დაუბრუნა ამხანაგს. ასე რომ, ამგვარი მანიპულაციებით იგი გათავისუფლდა არასასიამოვნო მოვალეობისაგან. ცუღლუტობის ამ იშვიათი ნიმუშის შესახებ პირადად მისგან რამდენჯერმე მსმენია. რასაკვირველია, თხრობისას მის თვალებში დიდ სიამოვნებას ვამჩნევდი. აღნიშნული „მეთოდი" გ. მელიქიშვილმა ხშირად გამოიყენა „მეცნიერულ შემოქმედებაშიც". და რამდენადაც მოხსენიებული ჯგუფის ხელმძღვანელის მსგავსად საქართველოში, მათ შორის ისტორიკოსთა რიგებში, ბლომად არიან გულუბრყვილონი, დღემდე ეს „მეთოდი" დიდად უმართლებს. ამის დამადასტურებელ ერთ მაგალითზე უკვე მოგახსენებდით".

აი, კიდევ ორი გამოტოვებული ადგილი: „რომელი თავმოყვარე ისტორიკოსი იკადრებდა მოხსენებით გამოსულიყო სერგო ორჯონიკიძის ასი წლისთავის იუბილეზე? მაგრამ ეს იკადრა გ. მელიქიშვილმა! თავის დროზე ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში მან შექმნა განყოფილებები, რომელთაც ევალებოდათ საქართველოში „სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების" შესწავლა (1917-21 წლები) და ბურჟუაზიული იდეოლოგიის კრიტიკა. როცა 1984 წელს ხსენებული ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ და პარტიული კომიტეტის მდივანმა ვითომდა ინსტიტუტში შემდგარი კრების სახელით „დიდი მადლობა" გამოთქვეს თვითმფრინავის გამტაცებელთა მიმართ გამოტანილი უკიდურესი სასჯელის გამო, დირექტორს ერთხელაც არ გამოუთქვამს თავისი აღშფოთება თავისი ნაზირ-ვეზირების საქციელის გამო (არაა გამორიცხული, რომ მათ ეს ჩაიდინეს დირექტორის თანხმობით); „გ. მელიქიშვილმა როგორც „მაცნეს" ისტორიის... სერიის რედაქტორმა არ დაბეჭდა ჩემი სტატიები: „კლასობრივი ბრძოლის საკითხი „ადრეკლასობრივი" და ფეოდალური ხანის საქართველოში", „ეთნიკური ფორმების მონაცვლეობის პრობლემა წინაკაპიტალისტური ეპოქის საქართველოში" და „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყების საკითხი XIX საუკუნის საქართველოში". დიდად ვეჭვობთ, რომ მთავარი მიზეზი გ. მელიქიშვილის ჩემდამი ანტიპათიები იყოს; საქმე ისაა, რომ აღნიშნულ სტატიებში გადასინჯული იყო ტრადიციული საბჭოური შეხედულებანი".

„სიტყვა ქართულში" გამოქვეყნებული სტატიიდან ასევე ამოღებულ იქნა შემდეგი სტრიქონები: „როცა (1979 წელს) ივანე ჯავახიშვილის თხზულებების პირველი ტომი გამოვიდა, უნდა ვიფიქროთ, რომ მისი რედაქტორი, სპეციალობიდან გამომდინარე, სწორედ გ. მელიქიშვილი იქნებოდა. მაგრამ ასე როდი მოხდა. მეტსაც ვიტყოდით, მის სახელს ვერ ვხედავთ სიმონ ჯანაშიას „შრომების". III, IV, V და VI ტომების სარედაქციო კოლეგიაში. თუმცა მას შესთავაზეს, მაგრამ არ დათანხმდა V და VI ტომების რედაქტორობაზე. იგი არც ნიკო ბერძენიშვილის „საქართველოს ისტორიის საკითხების" მრავალტომეულის სარედაქციო კოლეგიის წევრი გახლავთ".

როცა 1989 და 1996 წლებში გ. მელიქიშვილი ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კოლექტივმა თითქმის ერთხმად აირჩია დირექტორად, ამის თაობაზე სტატიაში ასეთი კომენტარი მქონდა: „მაგრამ ეს ფაქტი მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენი საზოგადოება მნიშვნელოვანწილად კვლავ ვარლამ არავიძისეულ საქართველოში აგრძელებს ცხოვრებას. ცხადია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობა და ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კოლექტივი რომ მოწოდების სიმაღლეზე იდგენ, მაშინ საქმე სულ სხვანაირად შეტრიალდებოდა. მაგრამ ფაქტია, რომ სურვილები სხვაა და სინამდვილე სხვა!"

ჩამოვთვლიდი რვა პიროვნებას (მეცნიერების წარმომადგენლებს), რომელნიც ჩემსავით მკაცრად აკრიტიკებდნენ და აკრიტიკებენ გ. მელიქიშვილს. (სხვათა შორის, ნიკო ბერძენიშვილიც დიდ ეჭვებს გამოსთქვამდა გ. მელიქიშვილზე როგორ ისტორიკოსზე განსაკუთრებით ქართველოგიის სფეროში). მე დავსძენდი: „მაგრამ ჩვენს ამგვარ მცდელობებს დღემდე რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი არ გამოუღია. არ ვიცით თუ რაა ამ უშედეგობის მთავარი მიზეზი: საზოგადოების ინერტულობა და შიში რამეთუ არ დაინგრეს „დიდი" მეცნიერის იმიჯი თუ გავლენიანი ძალების მხარდაჭერა?"

სტატიას ვამთავრებდი ასეთი პოსტსკრიპტუმით: „ჩვენ არა გვაქვს ილუზია, რომ ამ წერილით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიუროკრატიას (თანაც მნიშვნელოვანწილად გერონტოკრატიას) რაიმეს შევასმენთ. მაგრამ გვრჩება იმედი, რომ ეგების გამოიკვეთოს საზოგადოებრიობა, რომელიც გულთან (და გონებასთან) ახლოს მიიტანს აღძრულ ფრიად სერიოზულ საკითხს. დაე ნუ იფიქრებს მკითხველი, რომ პირადად ჩემთვის მთავარი მიზანი მხოლოდ და მხოლოდ გ. მელიქიშვილის გარშემო არსებული მითების დამსხვრევაა. ამით მინდა, რომ საზოგადოების მოწინავე, შეგნებულმა ნაწილმა (დღევანდელ საქართველოში თუკი არსებობს ასეთი რამ!) ამ მაგალითით გაიცნობიეროს თუ როგორი მდგომარეობა სუფევს დღეს ქართულ მეცნიერებაში და კერძოდ, თუ რას წარმოადგენს ქართული მეცნიერების ამჟამინდელი „ელიტა". აღნიშნული გარემოების გაცნობიერებას იქნებ სათანადო ქმედებანიც მოჰყვეს?!"

**გურამ ყორანაშვილი**

# ახალი ამბები

## კომუნისტებმა სტალინის ხსოვნას მიტინგი მიუძღვნეს

*05/03/98(გეა) /ვიკა ქავჟარაძე/*

„ეზოდან თუ გახვალთ, აგაფეთქებენ - ასეთი მუქარა გაისმა ტელეფონის ყურმილში საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის ლიდერის, პანტელეიმონ გიორგაძის სახლში, რომელიც გორში გამგზავრებას აპირებდა სტალინის გარდაცვალებიდან 45-ე წლისთავის აღსანიშნავად. პანტელეიმონ გიორგაძემ არ დააკონკრეტა, ვინ იყო სატელეფონო ზარის ავტორი.

ზუსტად 12.00 საათზე სეკპ-ის ლიდერმა გორში სტალინის სახლ-მუზეუმის გვირგვინებით შემკობა დაიწყო. მის გარშემო შეიკრიბა 200-მდე კომუნისტი და სტალინის ფენომენის თაყვანისმცემელი.

მამაკაცებმა მოიხადეს ქუდები და შევიდნენ ერთსართულიან სახლში, სადაც ერთ დროს ცხოვრობდა, სწავლობდა და ალბათ ცელქობდა კიდეც დიდი ბელადი.

დამსწრეთა მცირერიცხოვნობა, რომელთა საშუალო ასაკი დაახლოებით 50-60 წელი იყო, გიორგაძემ იმით ახსნა, რომ „საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება იმუქრება - თუ ხელში წითელ დროშებს აიღებთ, სისხლის სამართლის საქმეს აღვძრავთო.

„ხალხი დაშინებულია - განაგრძობს სეკპ-ის ლიდერი - „ტერაქტის შემდეგ კომუნისტებს ანგარიშსწორებით ემუქრებიან, ქართველი ხალხი კი მტკივნეულად რეაგირებს ყველაფერზე, ეშინია სისხლისა და ხელკეტების.

„სტალინის იდეები უკვდავია და მთელ მსოფლიოშია გავრცელებული - განუცხადა გიორგაძემ გორში შეკრებილებს.

გიორგაძის გამოსვლა ბერეტში გამოწყობილი მოულოდნელად გამოჩენილი მოხუცი ქალის ყვირილმა შეწყვიტა:

- თქვენ ფაშისტები ხართ - ყვიროდა მოხუცი - თქვენ მოკალით გაგარინი და ლეიტენანტი პაულიუსი. მე გენერალ ჟუკოვის ქალიშვილი ვარ.

„შეშლილია - დაასკვნეს კომუნისტებმა. „პროვოკატორია - თქვეს სხვებმა.

მოხუცი ქალი არ ცხრებოდა, ამიტომ შეკრებილთაგან სტალინის ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა ქალბატონმა მოხუცს დაუყვირა და გაგლეჯით დაემუქრა, შემდეგ მოხუცს თავში ჩანთაც ჩაარტყა, რის შედეგადაც ეს მოხუცი ასფალტზე გაიშხლართა. მისი ჩანთიდან კი რამდენიმე ვაშლი და ქართული პურის ნატეხი გადმოცვივდა.

სამგლოვიარო მიტინგი აშკარად გაფუჭდა. კომუნისტებმა კი მოხუცს მათხოვარი უწოდეს და ჟურნალისტებს ამ მოხუცის შეურაცხადობის მოწმობის წარდგენას დაპირდნენ.

შეკრებაზე მყოფმა ქალებმა ვაშლები და პურის ნატეხი ბუჩქებში გადააგდეს და თქვეს, ეს მოხუცი ქალი ჩოხატაურელიაო, თითქოს ვინმესთვის რაიმე მნიშვნელობა ჰქონდა, მოხუცი სამეგრელოდან იყო თუ გურიიდან.

კომუნისტებმა სასწრაფოდ გამოიტანეს ბელადის პორტრეტი და სტალინის ძეგლისაკენ გაემართნენ. ძეგლი გვირგვინებით შეამკეს, პანტელეიმონ გიორგაძემ კი მხედრული სალამი მისცა ბელადს და თქვა, რომ „სტალინი უდიდესი ადამიანი იყო.

სეკპ-ის წევრები სამგლოვიარო სხდომაზე გაემართნენ, დანარჩენები კი დამძიმებული გულებით დაბრუნდნენ სახლებში - ინციდენტი ყველას ცუდ მოგონებად დარჩა.

# სიყვარულის „ინტერესები" ახლო აღმოსავლეთში

***უკვე რამდენიმე კვირაა, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებში პოლიტიკოსთა ვნებებმა იფეთქა პრეზიდენტ ქლინთონის ნამდვილი თუ მოგონილი სატრფიალო თავგადასავლის გამო. თურმე ამ ვნებათაღელვას რომანტიულობის გარდა, პრაქტიკულ-პოლიტიკური მიზეზებიც ჰქონია, რომლებიც აღმოსავლეთში უნდა ვეძებოთ.***

***ისრაელის მომხრეთა ბანაკი მას სხვანაირად აშუქებს, არაბული ქვეყნებისა — სხვანაირად. ქვემოთ ვბეჭდავთ რამდენიმე ამონაწერს გაზეთებიდან.***

### „მონიკა ლევინსკი — იზრაელის მხსნელი"

როგორც იტყობინება ირლანდიური გაზეთი „აირიშ ტაიმსი", იზრაელის მემარჯვენე წრეებში ახალგაზრდა მონიკა ლევინსკის, რომელსაც შეერთებულ შტატებში პრეზიდენტ ქლინთონის საყვარლობას მიაწერენ, „ჩვენი დროის ესთერი" უწოდეს. ებრაელთა ისტორიის ეს გამორჩეული გმირი ქალი, როგორც ცნობილია, დასთანხმდა სპარსთა მეფის ცოლობას, რათა ჩაეშალა ბოროტ კარისკაცთა მიერ შედგენილი ებრაელთა გაჟლეტის გეგმა. ზოგ არაბულ წრეში, პირიქით, „1990-იანი წლების ამ ესთერს", გაზეთის ცნობით, ისეთი გამოთქმებით იხსენიებენ, რომელსაც პრესა ვერ აიტანს. მონიკას ისტორიული როლი როგორც მის მეხოტბეთა, ისე მის მაძაგებელთა აზრით, იმაში გამოიხატა, რომ მან გამოიყენა თავისი ახლო ურთიერთობა პრეზიდენტთან, რათა მისთვის ხელი აელებინებინა ახლო აღმოსავლეთში წასვლაზე სამშვიდობო ინიციატივის მიზნით, რომლის შედეგადაც ნათანიაჰუ იძულებული იქნებოდა პალესტინელებისთვის მეტი ტერიტორია დაეთმო იორდანეს დასავლეთ ნაპირზე და ამით იზრაელის პოზიცია შეესუსტებინა.

### „ქლინტონს შანტაჟს უწყობენ"

სირიული გაზეთი „ალ-ბაასი" ქლინტონის რომანტიული თავგადასავლის გამო ატეხილ კომპანიას ასე ხსნის: „ეს „დიდი ამბავი" სხვა არაფერია თუ არა აშკარა შანტაჟი პრეზიდენტ ქლინტონის წინააღმდეგ, მაინცდამაინც ამ კრიტიკულ პერიოდში, როცა აშშ ადმინისტრაცია წყრომას და შეშფოთებას გამოთქვამს იზრაელის მოქმედების გამო, რომელიც სამშვიდობო პროცესს არღვევს — იმ დროს, როცა ამერიკული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ყველანაირად ბოჭავენ პრეზიდენტს თითქოსდა სიახლოვეს თეთრი სახლის თანამშრომელთან, შეერთებული შტატების ხალხს იმის გრძნობა ეუფლება, რომ ამ ინფორმაციის საშუალებებმა ყოველგვარი საზღვარი გადალახეს". „ალ-ბაასს" ბანს აძლევს სირიული „ალ-თავარა" (და სხვა გაზეთებიც ამავე აზრზე დგანან): „მთელი ეს სექს-სკანდალი, რასაც პრეზიდენტი ქლინტონი შეეჯახა, მოდის სიონისტური ლობისაგან. მიზანია ქლინტონის დაშანტაჟება და მისთვის ხელის შეშლა იზრაელის პრემიერ-მინისტრ ნათანიაჰუზე ზეწოლის მოხდენაში".

### „სირცხვილია ჭორების აყოლა"

იზრაელის „ჯერუზალემ პოსტი", პირიქით, სირცხვილად უთვლის ამერიკულ აუდიტორიას პრეზიდენტის უწყინარი თავგადასავლისადმი ესოდენი ინტერესის გამოჩენას. „ეს ბოლო სკანდალი, რომელიც ვაშინგტონს აზანზარებს, მრავალმხრივ არის დამთრგუნველი — და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ყველაზე ძველმა ადამიანურმა სისუსტემ შეიძლება ერთ-ერთი საუკეთესო პრეზიდენტიც იმსხვერპლოს, ვინც კი შეერთებულ შტატებს ბოლო ათწლეულებში ჰყოლია. ბრალდებებზე არანაკლებ შემაშფოთებელია მთელი ერის სანახაობა, სიამოვნებით რომ ეწაფება ყველა უწმაწურ დეტალს, თითქოს ქვეყნად სხვა აღარაფერს მნიშვნელობა არ ჰქონდეს...

ამ სქესობრივი სკანდალის ფონზე შეიძლება ვერც კი შენიშნონ საერთაშორისო კრიზისი, რომელიც შესაძლოა მილიონობით ადამიანის სიცოცხლეს ემუქრებოდეს".

### აშშ ციხეთა ბინადარნი

1997 წლის მანძილზე შეერთებულმა შტატებმა პატიმართა რაოდენობა გაზარდა თითქმის 6%-ით. 1.6 მილიონიდან იგი 30 ივნისისთვის 1.7 მილიონზე ავიდა. როგორც გამოაცხადა იუსტიციის დეპარტამენტმა, ყოველი 155 მაცხოვრებლიდან საშუალოდ ერთი ამჟამად გისოსს მიღმა იმყოფება. პატიმართა პროცენტით აშშ დღეს მხოლოდ რუსეთს ჩამორჩება.

EIR 1998 № 6

## ტკივილი

# ხელგაწვდილნი შველას ითხოვენ!...

უკვე რამდენი წელია, ისინი ჩვენი ქალაქის განუყოფელი ნაწილნი გახდნენ. მათ ვხვდებით ყველგან: — ქუჩაში, მიწისქვეშა გადასასვლელებში, ბაზრობებზე, მეტროში, ეკლესიებთან.

იშვიათად ჩვენსკენ გამოწვდილ თა სახლში მოხვდა, სადაც მჟავე საჭმლით და დაობებული პურით კვებავდნენ. რაც კი ტანსაცმელი გავუგზავნე, ყველაფერი გაუფლანგეს.

საბოლოოდ, გადავწყვიტე დახმარებისათვის ნანული შევარდნაძის ფონდისთვის მიმემართა.



პატარა დაღლილ ხელებში ხურდას ვუყრით და მაშინვე გვავიწყდება მათი არსებობა, რადგან საკუთარი პრობლემებით გადატვირთულებს აზრადაც არ მოგვდის დავფიქრდეთ იმაზე, თუ ვინ არიან ისინი, ვინ გახდებიან ხვალ და რას უქადის მათ მომავალი. სადმე მიყრუებულ ადგილას მიმალულნი, ხალხს თვალებში შეჰყურებენ და უხმოდ ტკივილს უზიარებენ.

გავესაუბრეთ ერთ მათგანს, სვეტლანა ნიჟევენკოს, რომელიც პროფესიით ფილოლოგია და ჰყავს ათი წლის შვილი, — დათო.

... — უკვე რამდენი ხანია, რაც უგზო-უკვლოდ დავხეტიალობთ, ღამეებს ვაგზალზე ვათენებთ.

თბილისში უამრავი ახლობელი მყავს, მაგრამ გაჭირვების ჟამს ყველამ ზურგი შემაქცია.

სამსახურშიც არავინ მიმიღო, რადგან შვილის სიკვდილს ქურდობა ვამჯობინე.

ჩემს არყოფნისას, დათო მამინაცვალმა სახლიდან გამოაგდო და მათხოვრობა დააწყებინა. ათი დღე ქუჩაში ეძინა და მშიერ-მწყურვალი დაწანწალებდა. შემდეგ უპატრონო-

მდივან ქეთის ავუხსენი ჩემი გასაჭირი, ვთხოვე დახმარება, მაგრამ ცივი უარით გამომისტუმრა.

დედა ვარ და შვილის წამებას ვერ ავიტან, მომბეზრდა უაზროდ ხეტიალი. თავს მოვიკლავდი, მაგრამ დიდი მორწმუნე ვარ და ამხელა ცოდვას ვერ ჩავიდენ.

ვიცი, არსებობს კეთილი ხალხი და გამომიწვდის დახმარების ხელს, რომ არ გადავიჩეხოთ დიდ უფსკრულში, საიდანაც ამოსვლა არავის უცდია.

სვეტლანამ თავი დახარა, ცრემლიანი თვალები მოიწმინდა, შვილს ხელი მოხვია და განაგრძო გზა. გზა, რომელიც ღმერთმა იცის სად მიიყვანს.

ნათქვამია: — „კაცი ჯერ შიმშილით მოჰკლეს და მერე პირში ფლავს ატენიდნენო".

ჩვენი საქმეც ასეა — სიკვდილის შემდეგ უმიზეზო „ვაი", „უის" ძახილს, უმჯობესია, სიცოცხლეშივე მხარი ვაძლიოთ, გავუნათოთ იმედის ნაპერწკალი, რომელიც მათთვის სიცოცხლის ტოლფასია...

**ნ. დარსალია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ვაჰ, დრონი, დრონი!**

# ძვირფასი ხელმიხნები



*რესპუბლიკის სახალხო არტისტს ბატონ ვიქტორ ვიქტორის ძე ნინიძეს „საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი" და გაზეთი „საქართველო" ვულოცავთ დაბადებიდან 78 წლისთავს.*

*ბატონო ვიქტორ, დიდ მადლობას მოგახსენებთ იმ სასიამოვნო წუთებისათვის, რაც თქვენმა ნათამაშებმა კინოროლებმა მოგვანიჭა ქართველ მაყურებელს.*

*კინოფილმებში: „დათა თუთაშხია", „მშობლიური ჩემო მიწავ", „სოფლის აშიკი", „ზნედაცემული ანგელოსი", „კროსვორდის ამოხსნის მოყვარულთათვის"...*

*რუსთაველის თეატრში: იბსენის „ექიმი სტოკმანი", პ. კაკაბაძის — „ყვარყვარე", დვარეცკის „უცხო კაცი," ნ. დუმბაძის „საბრალდებო დასკვნა", შექსპირის — „რიჩარდ III" განსახიერებული თქვენი გმირები ყველასათვის ნაცნობი და საყვარელია.*

*გთავაზობთ ბატონ ვიქტორ ნინიძის მოგონებებს.*

❑ ❑ ❑

ადამიანი, რომელიც შვიდ ათეულ წელს გადააბიჯებ ძალაუნებურად თვალს გადაავლებ შენს მიერ განვლილ ცხოვრების გზას და მოიგონებ იმ [illegible]ასეპს, რომლებმაც გარკვეული კვალი დატოვეს შენს მეხსიერებაში. პირველ რიგში მახსენდება მამაჩემი, — რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ცნობილი რეჟისორი და საზოგადო მოღვაწე ვიქტორ ათანასეს ძე ნინიძე, რომელიც ჩემთვის არა მარტო მშობელი, არამედ აღმზრდელი, პედაგოგი და უფროსი მეგობარიც იყო. თეატრალური ხელოვნების ისტორიაში არც თუ ისე ხშირია შემთხვევა, როდესაც ოჯახის თითქმის ყოველი წევრის სულიერ საზრდოს წარმოადგენს ეროვნული თეატრისადმი სიყვარული და გატაცება — აი ასეთ ბედნიერ გამონაკლისთან გვაქვს საქმე. ამ შემთხვევაში: მამა — თეატრის ხელმძღვანელი, დედა — მუსიკის პედაგოგი, ერთი შვილი — თეატრის მთავარი მხატვარი, მეორე — ამავე თეატრის მსახიობი. მამაჩემის ოჯახთან განსაკუთრებული მეგობრობა აკავშირებდათ ქართული თეატრის გამოჩენილ მოღვაწეებს: სანდრო ახმეტელს და შალვა დადიანს, ალექსანდრე წუწუნავას და იოსებ გრიშაშვილს, ნიკო გოცირიძეს და გიორგი ქუჩიშვილს, ნიკო ქუმსიაშვილს და დავით ანდღულაძეს, აკაკი ხორავას და აკაკი ვასაძეს, შალვა ღამბაშიძეს და პიერ კობახიძეს...

ჩემს მეხსიერებას შემორჩა ის სალამოები, როდესაც ოცდაათიან წლებში თეატრის ტრადიციული დასვენების დღეს — ორშაბათს, ეს მოღვაწენი იკრიბებოდნენ ჩვენს ოჯახში და მეგობრულ სუფრასთან საათობით მსჯელობდნენ თეატრის ავკარგზე, მის აწმყოსა და მომავალზე... ბუნებრივია, მე და ჩემს ძმას კარლოს, ძალიან გვაინტერესებდა სახელოვან მამულიშვილთა საუბრის მოსმენა, რასაც არც მშობლები გვიშლიდნენ...

მაგონდება, ეს იყო 1927 წელს.

მაშინ მამა პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბთან არსებულ თეატრალურ კოლექტივს ხელმძღვანელობდა. ერთ სალამოს თეატრალური კოლექტივი მაყურებელს ახალ წარმოდგენას უჩვენებდა, მიდიოდა რევოლუციური დრამა „კაცის სამართალი", რომელშიც მუშა-რევოლუციონერი გიორგის როლს მამა ასრულებდა. გიორგის კატორღაში გზავნიან, შორეულ ციმბირში. მას მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი აცილებს, 6-7 წლის პატარა ბიჭუნა გულისგამგმირავი ტირილით მიაცილებს მამას. გიორგის პატარა ვაჟის უსიტყვო როლს ჩემი უფროსი ძმა ასრულებდა. იმ სალამოს კარლოს სიცხე მისცა, როცა მამას ეს ამბავი შეატყობინეს, სახლში დარეკა და თქვა კლუბში სასწრაფოდ მე მივეყვანეთ. ცოტა ხნის ჭირვეულობის შემდეგ დამითანხმეს შემეცვალა ავადმყოფი „მსახიობი ძმა."

სწრაფად ჩამაცვეს, სახელდახელოდ რეპეტიცია გამატარეს და ხელის კვრით სცენაზე შემაგდეს...

დასასრულს კმაყოფილი მაყურებელი ტაშს უკრავდა სპექტაკლს. როგორც ჩანს, მეც ძალიან მომეწონა სცენა, სპექტაკლი და ტაშიც, რადგანაც ორიოდე კვირის შემდეგ ჩვენს ოჯახში „სკანდალი" მოხდა — ისევ „კაცის სამართალი" მიდიოდა, მამამ კლუბში წასაყვანად გამოჯანმრთელებული ჩემი ძმა მოამზადა. მე ამ ამბავს დიდი პროტესტით შევხვდი, ისეთი ტირილი ავტეხე, მთელი სახლი ავიკელი. სახტად დარჩენილი მშობლები ასეთ წინააღმდეგობას არ მოელოდნენ. სხვა გზა არ ჰქონდათ, კლუბში მე წამიყვანეს, განაწყენებულმა ძმამ თავი იმით ინუგეშა, რომ დიდი მსახიობივით მასაც „დუბლიორი" აღმოაჩნდა...

**ეროსი მანჯგალაძე**

რამდენი რამის მომცველია ეს სახელი და გვარი. ეროსის სულში შერწყმული იყო დიდი არტისტული ნიჭი და კაცური სინდისი, ვაჟკაცობა და თავმდაბლობა, გულისხმიერება და მაღალი ზნეობა, სამართლიანობა და ულევი ადამიანური სითბო, მოკრძალება და იუმორი...

მე მეამაყება, რომ ეროსის უახლოესი მეგობარი ვიყავი... მისი ცხოვრების ბოლო ათი წლის მანძილზე ჩვენ ერთად ვიყავით ჭირშიც და ლხინშიც.

ჩემი არცთუ ისე ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე, იშვიათად შევხვედრივარ ადამიანს, რომელსაც ასე თავდავიწყებით ყვარებოდა თავისი ქვეყანა, ქართველი ერი, როგორც ეროსის უყვარდა. ამ სიყვარულში მას ბადალი არ ჰყავდა. სავსებით მართებულია მასზე პოეტის სიტყვები: „თხემით ტერფამდე შენ იყავი მართლა ქართველი"... თავის საგრიმიორო ოთახში, სარკის თავზე, კედელზე საქართველოს რუკა ჰქონდა -გაკრული... რუკაზე წერტილებით ჰქონდა აღნიშნული ის ადგილები, სადაც არაერთხელ ყოფილა, გადაავლებდა თვალს რუკას და სინანულით იტყოდა: ჯერ კიდევ რამდენი რაიონი მაქვს მოსანახულებელი, რამდენი კუთხის სილამაზით უნდა დავტკბეო...

ჩემს მეხსიერებაში დაუვიწყარ დღეებად დარჩება ჩვენი ერთობლივი მოგზაურობა მანქანით, თბილისიდან ახალციხემდე, იქიდან კი ბათუმამდე, შემდეგ... სოხუმი, ჭიათურა, ქუთაისი, შოვი, ცხინვალი, ყვარელი, თელავი...

საქართველოს ყველა კუთხე იზიდავდა მას, მაგრამ თბილისისადმი განსაკუთრებული გრძნობა ჰქონდა... როცა რამდენიმე ხნით მისი დატოვება უხდებოდა, უნდა გენახათ, როგორი გულისფანცქალით ელოდა თბილისში დაბრუნებას. როგორც კი თბილისს მოვუახლოვდებოდით, შვებით ამოისუნთქავდა და იეთიმ გურჯის ლექსს მოიშველიებდა:

„გამარჯობა, ჩემო თბილის ქალაქო,

დაკარგული შენი შვილი მოვედი"...

გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე გამიზიარა თავისი გულის წადილი, როცა თეატრი საგასტროლოდ წავა, მე და შენ ჯერ სვანეთი მოვინახულოთ, ხოლო შემდეგ ხევსურეთს ვეწვიოთო... ვაი, რომ მოკლე გამოდგა მისი სავალი გზა-შარა...

**ბადრი კობახიძე**

იგი მრავალმხრივი პიროვნება იყო... ჩვენი საზოგადოების ნამდვილი ჯენტლმენი... მსახიობი, რეჟისორი, საზოგადო მოღვაწე... მეოცე საუკუნეში არცთუ ისე ადვილია იცხოვრო ექვს ათეულზე მეტი წელი და შეინარჩუნო კეთილი ადამიანის, პირუთვნელი მეგობრის, ჭეშმარიტი მოქალაქის, შენი ერის პატრიოტის, ნიჭიერი მსახიობის და პედაგოგის, კარგი ორგანიზატორის სახელი!

გარეთ აღარ გამოვედით, ბადრიმ ბუკლეტს გადაავლო თვალი და ნახა, რომ თურმე მთელი მესამე სართული არ დაგვითვალიერებია, უკან მივბრუნდით და მეზუმში შესვლა გადავწყვიტეთ, მაგრამ შენც არ მომიკვდე, ვინ გიშვებს! ბადრის ვეკითხები რა ვქნათმეთქი. ის კი დინჯად მპასუხობს — მეტი არაა შენი მტერი მეორეჯერ ჩვენ ლონდონში მოვხვდეთო... მოვითათბირეთ, შემოვიგლეთ თავზე ხუთი დოლარი, ავიღეთ ბილეთები და ხელახლა შევედით მუზეუმში. გვინდა მესამე სართულზე მოვხვდეთ, მაგრამ როგორ?! ბადრი მიუახლოვდა კარისკაცს, გადაუშალა ბუკლეტი და ეკითხება: „აქ როგორ მოვხვდეთო". კარისკაცი კი გაშტერებული მისჩერებია ბადრის და არც ინძრევა. ბადრიმ შეკითხვა რამდენჯერმე გაუმეორა, ის კი ისევ სდუმს. ბოლოს მოთმინება დაკარგა, კარისკაცს თავისკენ შემობრუნება დაუპირა... ამ დროს ფორმიანი ქალი გამოგვეცხადა, ბადრის წინ დაუდგა და ჟესტიკულაციით გვეკითხება: რა გინდათო?! ბადრიმ და მე შევხედეთ მას, შევხედეთ ჩვენს წინ მდგომ კარისკაცს და მხოლოდ მაშინ მივხვდით, რომ ბადრი მთელი ხუთი წუთი ფიტულს ელაპარაკებოდა...

**ვასო ყუშიტაშვილი**

მე ბედნიერება მქონდა მემუშავა ისეთ დიდ და საინტერესო ქართველ რეჟისორთან, როგორიც იყო ბატონი ვასო ყუშიტაშვილი. იგი გარკვეული წლების მანძილზე



საქართველოში არ მოღვაწეობდა, ხან ამერიკაში ცხოვრობდა და ხან საფრანგეთში. ამან გარკვეული დაღი დაასვა მის ქართულ მეტყველებას, მაგრამ რეპეტიციების დროს, განსაკუთრებით მაგიდასთან მუშაობის პროცესში მას ვერ გამოაპარებდი ქართულ მეტყველებაში მცირეოდენ უზუსტობასაც კი, იდეალურად სვამდა მახვილებს და აქცენტებს. ... ერთხელ პირადი საუბრის დროს წინადადებაში რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა დამახინჯებულად და მე შევუსწორე — ვასილ პავლოვიჩ, ეს სიტყვა ასე გამოითქმება-მეთქი. მან ირონიულად გადმომხედა და ამაყად გამომიცხადა. „შე დურაქო (მისი საყვარელი სიტყვა იყო), რას მასწავლი, მე თბილისში ვარ დაბადული და გაზარდულიო..." მცირე პაუზის შემდეგ ორივემ გულიანად გადავიხარხარეთ...

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ თბილი, ძმური მეგობრობა გვაკავშირებდა ერთმანეთთან...

საგასტროლო მოგზაურობის დროსაც ერთად ვიყავით.

მახსოვს ლონდონში გასტროლების დროს, რომელმაც მსოფლიო აღიარება მოუტანა რუსთაველის თეატრს, თავისუფალ დროს ამ ულამაზესი ქალაქის ღირშესანიშნაობათა დათვალიერებას ვანდომებდით. როგორ შეიძლებოდა ლონდონში ვყოფილიყავით და მსოფლიოში ცნობილი „მადამ ტიუსოს" მეზეუმი არ დაგვეთვალიერებინა. მოგეხსენებათ, აქ ექსპონირებულია მსოფლიოში ყველა პოპულარული პიროვნების ფიტულები, დაწყებული „მსოფლიო პროლეტარიატის ბელადებიდან", ფეხბურთელ ეუსებიოთი დამთავრებული.

და აი, ერთ მშვენიერ დღეს მე და ბადრიმ გადავწყვიტეთ ეს მუზეუმი დაგვეთვალიერებინა. ორი სართულის დათვალიერებას თითქმის სამი საათი მოვუნდით.

**რუბრიკის მასპინძელი**
**ქეთი ჩადუნელი**

# ახალი ამბები

**გვჭირდება გაზი სახლებში**

06/03/98(გეა) /ინგა გრიგოლია/ ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარის, გიორგი ბარამიძის განცხადებით, საკმაოდ მწვავედ დგას თბილისის გაზით მომარაგების საკითხი და, თუმცა ამ პრობლემის გადაწყვეტაში ფრაქცია მედიატორის როლის თამაშს არ აპირებს, რადგან საკითხი პოლიტიკურია და ხელისუფლების დაპირებებს შეეხება, ფრაქციას არ შეუძლია გვერდი აუაროს გაზით მომარაგების პრობლემას.

ბარამიძე მიიჩნევს, რომ გაზმომარაგების პროცესი პრაქტიკულად პარალიზებულია. ამავე დროს იგი უარყოფს გავრცელებულ ხმებს იმის თაობაზე; თითქოს პარლამენტი არასაკმარის დაინტერესებას იჩენს და ცალსახად განიხილავს ამ საკითხს.

„ერთადერთი პრიორიტეტი ის უნდა იყოს, რომ რაც შეიძლება მალე მოხდეს თბილისის მოსახლეობის უზრუნველყოფა. ჩვენ დღეს გვჭირდება გაზი სახლებში - განაცხადა გიორგი ბარამიძემ დღეს ამ საკითხის თაობაზე გამართულ თათბირზე.

**ერთდღიანი შიმშილობა**

06/03/98(გეა) /თამარ ხონელიძე/ დღეს სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტმა, გიორგი კერვალიშვილმა ერთდღიანი შიმშილობა გამოაცხადა იმ მოთხოვნით, რომ 6 მარტი საქართველოს ხელისუფლებამ ოფიციალურად პოლიტპატიმრების დღედ გამოაცხადოს.

**საბერძნეთთან თანამშრომლობა გაგრძელდება**

06/03/98(გეა) /ნინო ცხოიძე/ დღეს საქართველოს პრეზიდენტმა, ედუარდ შევარდნაძემ საქართველოში სტუმრად ჩამოსული საბერძნეთის თავდაცვის მინისტრი მიიღო. შეხვედრის შემდეგ გამართულ სახელდახელო ბრიფინგზე საბერძნეთის თავდაცვის მინისტრმა, აკის ცოხანძოპულოსმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ვიზიტის პერიოდში იგი დაესწრება საქართველოსათვის საბერძნეთის სამხედრო კატარღის გადაცემის ცერემონიას.

საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრის თაობაზე საბერძნეთის თავდაცვის მინისტრმა აღნიშნა, რომ მათ ისაუბრეს ორ ქვეყანას შორის არსებულ კავშირებსა და იმ პერსპექტულ გეგმებზე, რაც 2000 წლის შემდეგაა დაგეგმილი.

„საქართველოს პრეზიდენტს საბერძნეთის მთავრობისა და ბერძენი ხალხის უდიდესი სიხარული გადავეცი, რადგან კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ედუარდ შევარდნაძე აგრძელებს მუშაობას რეგიონში სტაბილურობის დამყარებისათვის - განაცხადა აკის ცოხანძოპულოსმა. მისივე თქმით, შეხვედრაზე საუბარი იყო რეგიონში არსებულ პრობლემებზე. „ჩვენ დავრწმუნდით, რომ ევროკავშირის ფარგლებში საქართველო-საბერძნეთის თანამშრომლობის თვალსაზრისით ერთად უნდა ვიაროთ ამ პრობლემების გადაწყვეტის გზაზე. ჩვენი მიზანია, მომავალშიც ისევე ვითანამშრომლოთ, როგორც ადრე ვთანამშრომლობდით. ამით მე გამოვხატე პირადად ჩემი მხარდაჭერა და საბერძნეთის ოფიციალური მთავრობის პოზიცია - აღნიშნა საბერძნეთის თავდაცვის მინისტრმა.

# ეს ქმედება მავნებლობის ბოლფასია

ასეთი სათაურით მინდა დავწერო და გამოვთქვა ჩემი გულის ტკივილი. ყოველდღიურად ვისმენ რადიო გადაცემებს. ამას წინათ რადიოს საშუალებით გადაიცა, რომ თავდაცვის სამინისტროში მოხდა ახალი საშტატო ერთეულის დაშვება, კერძოდ მინისტრის მოადგილისა სამედიცინო სამსახურის დარგში. დიქტორი კითხულობს გვარს, სახელს და გაოცებული ვრჩები. ვიფიქრე, ალბათ, მომეჩვენა მეთქი — და გადავწყვიტე თავად გამერკვია. საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ ვაყალიბებთ ქართულ ჯარს. ვზრდით, ვიზიდავთ და ვაკომპლექტებთ ქართველი სპეციალისტებით საჯარისო ნაწილებს. იმედის თვალით შევყურებთ თუ როგორ იზრდებიან ყოველდღიურად ჩვენი თანამემამულენი. მართალია საკმაოდ არ გაგვაჩნია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სახელმწიფო გაჭირვებაშია, არ არის ნორმალური კვება, ჩაცმა, იარაღი, სითბო და მრავალი სხვა, მაგრამ მომავლის იმედის თვალით შემყურე სამხედრო მოსამსახურეები ენერგიას და ჯანმრთელობას არ ზოგავენ, რომ კრიზისიდან გამოვიდნენ. სამკურნალო პროფილაქტიკური ღონისძიებები ნორმალურად მიმდინარეობს. სამხედრო ნაწილები დაკომპლექტებულია გამოცდილი ექიმებით და პროვიზორებით. ყველა ნაწილში შეიმჩნევა სანიტარულ-ეპიდემიური სამსახურების რითმული მუშაობა. ითარგმნება და იწერება ქართულ ენაზე ბრძანებები, დებულებები და ამ დროს ხდება გაურკვეველი რამ: კერძოდ, არცერთ განვითარებულ ქვეყანაში, სადაც თავდაცვის სამინისტროა, მინისტრის მოადგილის შტატი სამედიცინო დარგში არ არსებობს. ჩვენთან კი ბატონმა ვარდიკო ნადიბაიძემ გაურკვეველი ნაბიჯი გადადგა ამ მიმართულებით. მან, როგორც ჩანს, პრეზიდენტთან შეთანხმებით შეძლო ამ თანამდებობაზე მოეწვია რუსეთის არმიიდან დათხოვნილი პენსიონერი პოლკოვნიკი პავლე კარაგეზოვი. ჩემი აზრით, ეს არის დაცინვა.



ბატონი კარაგეზოვი, რადგანაც ქართული ენა არ იცის, თხოულობს, რომ პატაკი მოხსენდეს რუსულ ენაზე. ხელმძღვანელობს საბჭოთა არმიის წესდებებით და კანონებით. ყველამ იცის, რომ აუცილებელია ბრძანების შესრულება, მაგრამ როდესაც ახსენებენ მას, რომ ბრძანების გაცემა ადვილია, მაგრამ შესრულებისათვის გარკვეული პირობების შექმნაა საჭირო, იგი მოკლედ პასუხობს: მე ასე მსურს!

თავად თავდაცვის მინისტრი, თუ არ ვცდები, ქართულს ჯერაც ვერ ფლობს სრულყოფილად და ახლა მოადგილედ ისეთი პიროვნება დანიშნა, რომელიც ჩვენი ენის ბაიბურშიც არ არის. საინტერესოა, ხომ არ მიდის ქართული არმიის რუსიფიკაციის პროცესი?

**გიორგი გიორგაძე**

---

*გამოიწერეთ გაზეთი*

## „საქართველო“

ხელმოწერა შეიძლება ქ.თბილისის პრესის გავრცელების სააქციო საზოგადოება „მაცნეს“ ხელმოწერის რაიონულ უბნებში შემდეგ მისამართებზე:

– მოსკოვის გამზირი 18, ტელ. 71-32-87
– გლდანის რაიონი, დუმბაძის 4 (ა) კორპუსი, ტელ. 62-75-32
– დ.გურამიშვილის გამზირი 30, ტელ. 60-80-22
– ივ.ჯავახიშვილის (კალინინის) ქ.№14 ტელ. 95-87-36
– ქეთევან წამებულის გამზ. 61, ტელ. 74-14-47
– აკ.წერეთლის გამზ. 73, ტელ. 34-75-51
– რ.თაბუკაშვილის ქ. №12
– ჭავჭავაძის გამზ. 46, ტელ.. 22-64-58
– ცენტრალური ოფისი, კ.გამსახურდიას გამზ. 42, ტელ. 37-47-49, 93-43-97.

ორგანიზაციებს შეუძლიათ, მიიწვიონ „მაცნე“-ს წარმომადგენელი ხელმოწერის გასაფორმებლად. ხელმომწერს შეუძლია აირჩიოს ჟურნალ-გაზეთების მიღების მისთვის ხელსაყრელი ფორმა.

---

## რეკლამის განთავსების მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთი „საქართველო“ თავისი ნომრის
ერთ გვერდს უთმობს სარეკლამო
განცხადებებს.
რეკლამა კეთდება შეღავათიან ფასებში.
ყოველი მესამე გამოშვება თქვენთვის
**უფასოა**

დაგვიკავშირდით ტელ.: 93-18-41, 93-20-36 ან მობრძანდით მისამართზე: თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5, II სართული, გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია.

---

Дока пицца

Doka pizza

☎ 94-07-00

| | |
|---|---|
| სოსისით | 2-00 |
| ქათმის ხორცით | 2-50 |
| ვიჩინით | 2-50 |
| სოკოთი | 2-50 |
| ვიჩინით და სოკოთი | 3-00 |

ადგილზე მიტანა 2-00

---

### წინა ნომრის კაიფვორდის პასუხები:

**მიწოლილად:** 6. არომატი; 7. ტრაბახი; 8. რაპირა; 10. ნანატრი; 11. კუზიანი; 13. ბალი; 15. ფრაკი; 16. ტუტუცი; 19. ბადექონი; 20. ტარა; 21. ესკიმო; 24. ბნელი; 26. ციალა; 27. დიაგრამა; 28. სალონი; 29. ადიდასი; 30. ბოსტონი.

**მიჭრდნობილად:** 1. კომპოზიტორი; 2. ყაურმა; 3. მაცა; 4. ბოროტი; 9. ფარისეველი; 12. ნახტომი; 14. იზომეტრია; 17. ცოციალა; 18. საჭე; 22. კონგრესი; 23. კასკა; 24. ძრავა; 25. ნაოსი.

---

# განცხადებები

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ბინები



ქირავდება ოთახ ნახევრიანი ჩეხური პროექტის სუფთა ბინა მეტრო წერეთელთან, 9 სართულიანის მე-6 სართულზე. ბინაში არის ტელეფონი, მცირე ავეჯი, მაცივარი, ტელევიზორი და თერმექსი. ფასი 260 ლარი. დარეკეთ საღამოს ტ.: 96-23-14.

---

სასწრაფოდ იყიდება 4 ოთახიანი ბინა დიდ დიღომში ახალი სტილის რემონტით, ტელეფონით, მე-5 სართული. ფასი 9000 დოლარი. ტ.: 53-36-80.

---

ქირავდება 2 ოთახიანი მაღალჭერიანი ბინა თავისუფლების მოედანზე, ფართი 30 კვ.მ. გამოდგება როგორც საცხოვრებლად, ასევე საოფისედ. საჭირო ავეჯით და ტელეფონით. ფასი 250 ლარი. ტ.: 63-65-63 ნინო.

---

იყიდება იზოლირებული ორ ოთახიანი ბინა ფართი 70 კვ.მ. შესასვლელი სადარბაზოდან, მანქანის სადგომით და სარდაფით. მის: წინამძღვრიშვილის 55, ტ. 66-74-47 ია.

---

იყიდება ვერაზე ევროსტანდარტების მქონე ბინაში, მესამე სართულზე უცხოვრებელი ბინა ავტოსადგომით. ფასი 60 000 დოლარი. ტ.: 98-78-33 დემნა.

---

იყიდება 3 ოთახიანი სუფთა ბინა 8 სართულიანის მე-7 სართულზე. მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. სამედიცინო ინსტიტუტის წინ. ტ.: 39-61-76 მერი.

---

იყიდება საგურამოსთან ბუხრიანი ორსართულიანი სახლი, მანსარდით, 600 კვ.მ. ეზოთი და ხეხილის ბაღით. ფასი 4000 დოლარი. ტ.: 36-45-00 ზურა.

---

იყიდება ორ ოთახიანი ბინა ლოჯით, ტელეფონით, 8 სართულიან ბინაში მერვე სართულზე. ფასი 11000$ ტ.: 61-71-46 ნანა.

---

იყიდება 4 ოთახიანი ჩეხური ბინა, რკინის კარებით, სანტექნიკით და ელექტროგაყვანილობით, სარდაფით, ავტოფარეხით, სხვენით. მის: დიდი დიღომი პეტრიწის ქ. ტ.: 53-47-14

---

სასწრაფოდ: 3 ოთახიანი, გარემონტებული, პრივატიზებული კუთხის ბინა ვაკეში, მრგვალ ბაღთან საუკეთესო ხედით, 8(14) საერთო ფართით 100 კვ.მ. საცხოვრებელი ფართი 55 კვ.მ., მუხის პარკეტით, ჭერი 3 მ. ტელეფონით, მარმარილოთი მოპირკეთებული აივანი 12-1,35-ზე. სამზარეულო, ფოიე კარგ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით ტ.: 23-37-33 ნოდარი, ჟუჟუნა.

---

იყიდება ან იცვლება ბინაზე, ფოთში ან თბილისის ნებისმიერ რაიონში მეტროსთან ახლოს 2 სართულიანი, კაპიტალური სახლი, 1-ჰექტ. მიწის ნაკვეთით, ხეხილის ბაღით, ადგილმდებარეობა მეტად ხელსაყრელია გლეხური მეურნეობის მოსაწყობად, ფასი შეთანხმებით. მისამართი ჩხოროწყუ, სოფ. ლესიჭინე (საკაციო) მუშიკო კაცია, თბილისი ტ.: 23-37-33 ნოდარი, ჟუჟუნა.

### სხვადასხვა

იყიდება ჩეხური ჭაღები, ანტიკვარული ავეჯი, საძინებელი და სასადილო „ვიოლეტა“, იატაკზე დასადგამი საათი, ხალიჩები ავსტრიული, გაზქურა „ბრესტი“, ელ. ქურა ღუმელით მაღალ ფეხებზე შოკოლადისფერი, გერმანული ჩაის და სადილის სერვიზი, როკოკოიანი ჩეხური ვაზები, საკერავი მანქანა „ვერიტაზი“. ტ.: 95-23-31

---

იყიდება საქსოვი მანქანა იაპონური, უხმარი 450$, 6 სკამი, გერმანული, უხმარი 200$, წიგნის თაროები, თითოეულის ფასი 20 ლარი. ტ.: 33-26-09, 33-04-70.

---

სტომატოლოგიურ კლინიკას „ნიუდენტი“ ესაჭიროება ექიმი-სტომატოლოგი მისი ტურბინული აპარატურით და სავარძლით. მის: გაგარინის მოედანი № 9 ტ.: 37-23-63.

---

შევასწავლი ინგლისურ სალაპარაკო ენას. ფასი 25 ლარი. ტ.: 52-29-87.

---

მოვამზადებ ბავშვებს გერმანულ ენაში სახლში მისვლით. ფასი 30 ლარი. ტ.: 61-71-43 ნათია.

---

ვაკეთებ და ვყიდი დესაოს, ლოგინის ჩასაწყობ ტახტს და ყველა ზომის კამოდს. ტ.: 96-46-56.

---

# ზვიად სუთიძე

„და მოვიდა ანგელოზი ღვთისა, თვალისმომჭრელად გაანათა იქაურობა... ხელი გამოგიწოდა და ნაზად გითხრა: „წავიდეთ ზვიად“... შენ გაგიკვირდა — სად?“ „ცათა სასუფეველში ზვიად. მაგრამ თუ შენ აქ გირჩევნია!“

„არა, არა, თუ უზენაესმა ასე ინება“... უპასუხებენ და თქვენ წმიდა ნათელით გაბრწყინვებულნი, უხმოდ გაფრინდით ვარსკვლავურ უცნობ შორეთში...



ვერავინ გაიგო, ვერავინ იგრძნო... ვერც მაშინ, ვერც ახლა... ძნელია დაჯერება იმისა, რომ შენ სიცოცხლით სავსე, თვალებცქრიალა, ჭკვიანი ბიჭი ჩვენს შორის აღარ ხარ. დატოვე სახელი წმინდა და უცოდველი, ტკბილ-მწარე მოგონება და სპეტაკი გრძნობები. არადა რა უნდა მოგესწრო იმ 16 წელიწადში მეტი. წელიწადია წახვედი და თან წარიტანე ნაზი გრძნობები შენი დედმამისა, სითბო და სიყვარული ახლობლებისა და მეგობრებისა. დატოვე ეული ამხანაგები და წმინდა გრძნობებში გახვეული შენი თანატოლები. „ღმერთსაც საუკეთესონი უნდაო“ უთქვამთ და ალბათ ასეა. ვხედავ შენ შექმნილ ნახატებს და უთქმელად ვგრძნობ შენ ფიქრებს, მაღალზნეობრივ იდეებს — თუ როგორ ებრძვის სული წმინდა ეშმაკსა და მათ თანამზრახველებს, როგორი სიამაყით შესცქერის ლომი ხარს, თუ როგორ გსურს, რომ ყოველთვის სიკეთემ გაიმარჯვოს ბოროტებზე.

... და დატოვე სხეული შენი, მტვერი მიწისა და ფერფლი უცოდველობისა... მიწასვე დაუტოვე მიწისგან შობილი... მხოლოდ სული წმინდა შეუერთე უფალს სამარადისო ნეტარებისთვის...

დატოვე სხეული შენი ... დატოვე გაკვირვებული და განცვიფრებული მექორწილენი... დატოვე და მხიარულება გლოვად უქციე შენს საყვარელ ახლობლებს... რატომ?

და მართლაც, შენში ხომ მხოლოდ სიკეთე, სიყვარული და პატიოსნება ცხოვრობდა ყოველთვის...

დატოვე ტკივილი და მოგონებანი, რომლითაც ცოცხლობენ შენი გულდამწვარი დედა და ნაადრევად გაჭაღარავებული მამა. მაგრამ...

*ვფიქრობდით შენზე და მოგვაგონდა,*
*ცხოვრების წიგნში რაც არ სწერია,*
*„ვისაც სიცოცხლე ლამაზი ჰქონდა,*
*მისთვის სიკვდილი არაფერია“.*

მოხედე ზვიად შენ გულმკვდარ დედას, მოხედე ზვიად შენზე ტანჯულ მამას და შენს ბედკრულ საქართველოს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი უმანკო სული.

---

მთავარი რედაქტორი
სერგო
ჯანაშია

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის
მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს
გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის
სასამართლოს მიერ. №06/4-444